# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 16 მაისი 2003 №88 (1859) | ფასი 50 თეთრი


# ჟერარ ულიე ქინქლაძეს ლივერპულზე ელაპარაკა



## გიოს შანსი: ახალი ცხოვრება ინგლისში ოუენთან ერთად

იხილეთ მეორე გვერდი



## ძველი შოტლანდია თუ ახალი ინგლისი?

რას აირჩევს ზურაბ ხიზანიშვილი: რეინჯერსი, ევერტონი...

## მკვდრებს ბრძოლის შემდეგ ითვლიან

ირლანდიასა და დინამოს ჩემპიონობაზე მოფიქრალ ივო შუშაკს იოზეფ ბლატერი თბილისში ძმაკაცს ჩამოუყვანს

ინტერვიუ ივო შუშაკთან იხილეთ მესამე გვერდზე



# საღი აზრი გაიმარჯვებს




## კროკო არ დაიხურება

ინტერვიუ კროკოს გენერალურ დირექტორთან დიმიტრი აბესაძესთან იხილეთ მეოთხე გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ქინქლაძე შესაძლოა ლივერპულელი ჯემი კარაგერის თანაგუნდელი გახდეს

# ულიემ ქინქლაძე ლივერპულში მიიწვია და დუბლინში ნახავს

**გიორგი ქინქლაძე** ახლა ტურინშია. ის თანაგუნდელ ფაბრიციო რავანელის ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელ, „იუვენტუს" — „რეალის" ნახევარფინალზე ჰყავდა დაპატიჟებული.

ტურინამდე გიორგი ქინქლაძე ლივერპულს სტუმრობდა. იქ, „ლივერპულის" საწვრთნელი ბაზაზე კი ჩვენიანს გუნდის მწვრთნელი გაუმასპინძლდა. ჟერარ ულიემ, რომელიც ქინქლაძის ნიჭის დამფასებელია, აგენტის პირით, გიორგი თავისთან მიიწვია. რაზე ისაუბრებდნენ ფეხბურთელი და მწვრთნელი, საკითხავი აღარ უნდა იყოს, თუმც კი მათი შეხვედრის დეტალები ჩვენთვის უცნობია. ის კი შევიტყვეთ, რომ ულიეს გიორგისთან „ლივერპულის" სამომავლო გეგმებზე ულაპარაკსა, რამდენჯერმე გამთამაშებლის პრობლემა უხსენებია და ირლანდიაში შეხვედრის იმედად დამშვიდობებია. ულიე 11 ივნისის ირლანდია — საქართველოს შესარჩევ მატჩზე აპირებს დასწრებას. ეს ინფორმაცია გუშინ გიორგის ოჯახმა დაგვიდასტურა. თავად ფეხბურთელთან დაკავშირება კი ვერ მოვახერხეთ.

შეგახსენებთ, ქინქლაძის „ლივერპულში" გადასვლაზე ადრეც ბევრჯერ თქმულა, მაშინ, როცა ის „სიტიში" ბრწყინავდა. ქინქლაძე მანჩესტერელთა კერპი იყო და იმ დროის კლუბს ჩვენიანი დასათმობად არ ემეტებოდა. არშემდგარი ტრანსფერის ერთ-ერთ მიზეზად, „სიტისგან" ქინქლაძის სანაცვლოდ მოთხოვნილ უსაშველო თანხასაც ასახელებდნენ.

ამჯერად „ლივერპულს" უკაპიკოდ შეუძლია ქინქლაძის გადაბირება. ფეხბურთელს „დერბისთან" კონტრაქტი სამ კვირაში უმთავრდება.

**ქოგა ინასარიძე**

# კახა კალაძე: იუვე-რეალი ჩვენთვის სულ ერთი იყო

## გუშინ მილანელებს იუვენტუსზე სიტყვა არ დასცდენიათ

*იტალიური „მილანი" და კახა კალაძე ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები სამშაბათს გახდნენ, მეორე დღეს კი მათი მეტოქის ვინაობა გაირკვა. 28 მაისს მანჩესტერში კალაძესა და კომპანიას იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი" დაუპირისპირდება. ეს გუნდები ამ სეზონში ერთმანეთს უკვე ორჯერ შეხვდნენ, ორჯერვე მასპინძელმა იძალა და ორჯერვე ერთნაირი ანგარიშით – 2:1. რა იქნება მანჩესტერში, წინასწარ, აბა, ვინ იტყვის, მანამდე კი კალაძის ნაუბარს გაეცანით. კახას გუშინ დავუკავშირდით...*

— დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, ფინალში „რეალი" შეგვხვდებოდა თუ „იუვენტუსი". მთავარი იყო, რომ „ინტერი" დავამარცხეთ. ფინალამდე კი ჩემპიონატის ორი პრინციპული მატჩი გველის, ჩვენ ხომ მეორე ადგილისთვის ვიბრძვით.

**— „იუვენტუს" — „რეალის" მატჩს მილანელები არ დასწრებიხართ?**

— ფეხბურთელები არა, მაგრამ ჩვენი ერთ-ერთი მწვრთნელი იყო ტურინში. ის „იუვენტუსზე" დაწვრილებით ინფორმაციას ჩამოგვიტანს. ბიჭებმა კი ნახევარფინალს ტელევიზორში ვუყურეთ.

**— და რას გვეტყვი თამაშზე?**

— „იუვენტუსმა" სეზონში საუკეთესო მატჩი ითამაშა. ამ გუნდს სერია A-ში ასე ძლიერად ერთ-ორჯერ თუ უთამაშია. ცხადია, ტურინელები „რეალთან" შეხვედრისთვის განსაკუთრებულად მოემზადნენ. „იუვენტუსს" მოსაგებად ფსიქოლოგიური განწყობაც ხელს უწყობდა, წინა კვირაში ხომ სკუდეტო მოიგო.

**— ფინალისთვის, ალბათ, „მილანიც" განსაკუთრებულად მოემზადება...**

— რა თქმა უნდა, თუმც ჯერჯერობით გუნდში განსაკუთრებული არაფერი ხდება.

**— „იუვენტუსის" მოგებაზე მთლიანად გუნდის რეაქცია როგორი იყო?**

— ჩვეულებრივი. დღეს ბაზაზე შევიკრიბეთ, გუშინდელ მატჩზე სიტყვა არავის დასცდენია. ისე, „მილანის" იტალიელებს იქნებ სხვებზე მეტადაც ესიამოვნათ ფინალში იტალიელების მეტოქეობა, მაგრამ მათ არაფერი დასტყობიათ.

**ქოგა ინასარიძე**

# ინგლისი თუ რეინჯერსი?

## ზურაბ ხიზანიშვილის „ჩემი არჩევანი" მართლა საინტერესოა

*ზურაბ ხიზანიშვილის კარიერა შოტლანდიურ „დანდიში" რამდენიმე დღეში დამთავრდება და შემოდგომიდან უფრო სახელოვან გუნდში გაგრძელდება. ხიზანიშვილი ახალ კლუბთან კონტრაქტს სავარაუდოდ მომავალ კვირაში გააფორმებს, უარეს შემთხვევაში, ივნისის დამდეგს.*

*უკვე რა ხანია, ზურაბით შოტლანდიური გრანდი, გლაზგოს „რეინჯერსია" დაინტერესებული და კვირა არ გავა, ტრანსფერის თაობაზე ფეხბურთელის აგენტს არ დაუკავშირდეს. „რეინჯერსის" ხელმძღვანელობა არც მალავს ხიზანიშვილის გადაბირების სურვილს, წინააღმდეგი თითქოს არც თავად ფეხბურთელია, მაგრამ... 95 პროცენტია შანსი იმისა, მომავალი სეზონიდან „რეინჯერსში" ვითამაშოო, გვითხრა ზურამ ერთი თვის წინ. გუშინ კი, როცა ზურას დანდიში შევეხმიანეთ და სატრანსფერო საქმეები გამოვკითხეთ, გავიგეთ, რომ მისი გადაბირების არანაკლები შანსები ინგლისურ კლუბებსაც აქვთ.*



— ჩემი ახალი გუნდის ვინაობას ამ დღეებში გეტყვით. აგენტს უკვე საბოლოო მოლაპარაკება აქვს რამდენიმე ინგლისურ გუნდთან. ახლა სწორედ მის სიტყვას ველი.

**— ინგლისური გუნდებიო, თქვი. ჩავთვალოთ, რომ შოტლანდიურ „რეინჯერსში" გადასვლა გადაიფიქრე?**

— არა, შესაძლოა, სწორედ „რეინჯერსთან" გავაფორმო კონტრაქტი, თუმც არის შანსი, დანდიდან ინგლისში მოვხვდე. გაჩნია წინადადებას. აგენტის სიტყვას ველი და მერე შემოთავაზებულთაგან უკეთეს ვარიანტს თავად ავარჩევ.

**— რომელი ინგლისური გუნდები გეპატიჟებიან?**

— ვიცი, რომ „ევერტონია" დაინტერესებული. ამ გუნდის ხელმძღვანელები აგენტს ჩემი ტრანსფერის თაობაზე უკვე რამდენჯერმე ესაუბრნენ. სხვა გუნდებზე კი ვერაფერს გეტყვით. აგენტს ვთხოვე, კონტრაქტის გამზადებამდე არაფერი მითხრას, მერე რომ ტყუილად არ ვიფიქრო და ვინერვიულო. გუნდთან ყველა საკითხს აგენტი მომიგვარებს, მე კი კონტრაქტს ხელს მოვაწერ. მან კარგად იცის ჩემი მოთხოვნები.

**— იტალიაში გადასვლას გამორიცხავ?**

— დიახ, თავადაც ბრიტანეთში თამაში მირჩევნია.

**— „დანდისთან" კონტრაქტი ჩემპიონატის დასრულებისთანავე გიმთავრდება. შესაძლებელია, რომ ახალ გუნდში გადასვლის საკითხი იქამდე გადაწყდეს?**

— წეს-კანონებით საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე მაქვს სხვა გუნდთან სამომავლო კონტრაქტის გაფორმების უფლება, ასე რომ, ახლავე შემიძლია ხელმოწერა, „დანდიში" ხომ დღეებს ვითვლი და ჩემპიონატის დამთავრებას არ დაველოდები.

**ქოგა ინასარიძე**

# ლომაია და ვენგერი: მეორე წრე, დუბლინი

## ნაკრების მეკარე ინგლისით დააინტრიგეს

**საქართველოს** ნაკრებისა და თბილისური „ლოკომოტივის" მეკარეს გიორგი ლომაიას მსურველი უცხოური კლუბები თითქოს არ აკლია. ჯერ მოსკოვის „დინამოს" გაესინჯა, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ის ტრანსფერი ჩაიშალა. მერე კიევის „დინამოს" დაინტერესებაზე ალაპარაკდნენ, თუმცა ის ვარიანტიც არ გამართლდა. ლომაიამ კიევური „არსენალიც" მოიარა და საბოლოოდ სათამაშოდ „ლოკომოტივში" დაბრუნდა.

შარშანდელ შემოდგომაზე ლომაიას ლონდონურ „არსენალში" გადასვლაზე ალაპარაკდნენ. არსენ ვენგერს ქართველი მეკარის თამაშის ვიდეოფირიც წარუდგინესო, ამბობდნენ. მართალია, ის არ უთქვამთ, რომელი მატჩის ვიდეოფირით დააინტერესეს ფრანგი მწვრთნელი, მაგრამ ლონდონელთა ყურადღებაზე ლაპარაკი უკვე რაღაცას ნიშნავდა.

გაზაფხულზე ლომაიამ სამი სანაკრებო შეხვედრა ირლანდიასთან, შვეიცარიასთან და რუსეთთან მაღალ დონეზე ჩაატარა და მისი სამომავლო კარიერის შესახებ ლაპარაკიც თავიდან აგორდა.

„ლოკომოტივის" მენეჯერის გოჩა თამაზაშვილის თქმით, 11 ივნისის ირლანდია — საქართველოს და ლომაიას ვენგერი ცოცხლად იხილავს. ითქვა ისიც, თითქოს ლონდონური „არსენალის" კვლავ ჩვენებურ მეკარეს „მანჩესტერ სიტიმ" და „ასტონ ვილამ" დაადგეს თვალი. გუშინ ისიც შევიტყვეთ, რომ ზემოთ ხსენებული კლუბის წარმომადგენლები თბილისში აპირებენ სტუმრობას და „ლოკომოტივის" ორ უახლოეს საშინაო თამაშში ლომაიას შესაძლებლობებს შეაფასებენ.

თავად გიორგიმ კი მისი მომავალი ტრანსფერის შესახებ ბევრიც არაფერი იცის: „პირადად არავინ დამკავშირებია, „არსენალის", „ასტონ ვილასა" და „მანჩესტერ სიტის" დაინტერესების შესახებ ჟურნალისტების ნაამბობიდან ვიცი. ერთხელ გიორგი ქინქლაძემაც მითხრა, ბრიტანულ პრესაში შენზე რამდენჯერმე დაიწერაო. ეგ იყო და ეგ, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ."

გიორგი ლომაიას ბედი საბოლოოდ მაინც ირლანდიური დაპირისპირების შემდეგ გაირკვევა. დუბლინში თუ ლომამ იფრინა...

**მამუკა ქვანტალიანი**

# დინამო VS კარლ ცაისი 3

## ასწლიან იუბილეზე იენამ დინამო ისურვა

**იენის** „კარლ ცაისს" საუკუნე უსრულდება და საგანგებო ზეიმზე მთელი „დინამო-81" მიიწვია.

შარშანწინ კი ჩვენი „დინამოს" წინა ხელმძღვანელობამ დაპატიჟა „კარლ ცაისი-81" თბილისში — დიუსელდორფის ტრიუმფიდან ოცი წელი იყო გასული.

მოკლედ, „კარლ ცაისის" და „დინამოს" ვეტერანები მეორედ იენაში იბურთავებენ — მატჩი 29 მაისს გამართება. ჩვენი ოცკაციანი დელეგაცია კი 21 მაისს გაემგზავრება გერმანიაში.

ქართული დელეგაციის თავკაცი „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა იქნება, ორგანიზაციულ საკითხებს კლუბის უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანიც უხელმძღვანელებს. ვეტერან დინამოელებს სერგო კუტივაძე და ლევან ნოდია უმწვრთნელებენ. მატჩისთვის კი „დინამოს" მე-6 და მე-10 ნომრები ამოღებული იქნება — ვიტალი დარასელიასი და დავით ყიფიანის.

მატჩის და საზეიმო ბანკეტის გარდა პროგრამა ქალაქ ვაიმარის მუზეუმების დათვალიერებას და იენის ბურგომისტერთან საგანგებო მიღებასაც მოიცავს.

**დავით თავართქილაძე**

# ბლატერი თბილისში

**23 მაისს** თბილისში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ჩამოვა.

პრეზიდენტის ვიზიტი ერთდღიანი იქნება. 24 მაისის საღამოს ის შვეიცარიაში გაფრინდება, დილით კი ბლატერი საქართველოს ნაკრების ბაზას გახსნის და დაათვალიერებს.

სადღეისოდ მშენებლობა თითქმის დასრულებულია, ბლატერის ჩამოსვლამდე მხოლოდ ბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა ვერ ესწრება. უკვე თბილისშია თანამედროვე საწვრთნელი ბაზისთვის საჭირო ყველა ინვენტარი, სათამაშო კარითა თუ ტრენაჟორებით დაწყებული, სამზარეულო გარნიტურით დამთავრებული.

საქართველოს ნაკრების ბაზის მშენებლობა, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზეა, მთლიანად ფიფას დაფინანსებულია.

**ქოგა ინასარიძე**

### ინგლისი

პირველი დივიზიონი

პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

შეფილდ იუნ. 4:3დ.დ. (2:2) ნოტინგემი (1:1)

### ფინეთი

პირველი ტური

ჰიკ 1:1 იოკერიტი

ჰაამენლინა 4:3 კუოპიო

ინტერი 0:2 ტურკუ

ჯაზი 1:1 იარო

კტპ 1:2 მიუპა

ლაჰტი 0:2 ალიანსი

ტამპერე 0:2 ჰაკა

# მკვდრებს ბრძოლის შემდეგ ითვლიან

## ცოცხი არ ვარ, ჩემი ფუძე გულწრფელობაა

*ეროვნული ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და არც სანაკრებო ციებ-ცხელებაა შორს. თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ხორვატ დამრიგებელსაც ამად ვესტუმრეთ დიღმის ბაზაზე — „დინამოსა" და ნაკრებზე სალაპარაკოდ*



— ბევრს ეგონა, რომ ამ სეზონში „დინამოს" ჩემპიონობა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა — თქვენი გუნდი გარკვეულ სირთულეებს წააწყდა.

— „დინამოს" არანაირი პრობლემა არა აქვს. მე არც კი მიფიქრია, რომ ჩემი გუნდი იოლად მივიდოდა ჩემპიონობამდე. ჩვენი მიზანი ერთია — ჩემპიონობა და თასი — და ამის მისაღწევად ობიექტური საშუალებებიც გაგვაჩნია. სასიხარულოა, რომ ყველა გუნდი „დინამოს" წინააღმდეგ განსაკუთრებული ჟინით, მოტივაციით და ენთუზიაზმით თამაშობს. ჩვენთან თამაშის მერე მეტოქეები მომდევნო შეხვედრებს შედარებით სუსტად ატარებენ. ერთი სიტყვით, მეორე ეტაპის ჩამთავრების შემდეგ უფრო უპრიანი იქნება შეფასებების გაკეთება — მკვდრებს ბრძოლის მერე ითვლიან.

**— ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩში „დინამომ" გოლის გატანა ვერ მოახერხა, რას დააბრალებდით ამას?**

— გოლი თამაშის პიკს წარმოადგენს. ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი გადაბმით არ გვითამაშია. შუალედში სათასო მატჩი გვქონდა. არ მსურს, „დინამოს" თავდასხმის კრიზისზე საუბარი. ვფიქრობ, ბოლო შეხვედრებში ჩვენი მეტოქეები გახსნილ თამაშს შემოგვთავაზებენ. „დინამოში" კი, შესაძლოა, ფორმალური ცვლილებები მოხდეს.

**— ფორვარდ ლადო ახალაიას დღევანდელ კონდიციებზე რას იტყოდით?**

— ახალაია გუნდის ბირთვს წარმოადგენს, მაგრამ მას ტრავმებმა შეუშალეს ხელი. ის ახლა ხელახლა იმკვიდრებს ადგილს ძირითადში. ლადოს სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე მას მხოლოდ ფორვარდად გამოვიყენებთ.

**— ზამთრის შესვენებისას „დინამო" ახალი ფეხბურთელებით რომ ვერ გაძლიერდა, ეს ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ხომ არაა გუნდისთვის?**

— ზამთრის შესვენებისას ცოტა რთულია, გუნდის სერიოზულ გაძლიერებაზე მუშაობა. სეზონის დამთავრების შემდეგ კი რემონტი უნდა ჩატარდეს — ვიღაც უნდა წავიდეს და ვიღაც უნდა მოვიდეს. ვაპირებთ 3-4 ფეხბურთელის დამატებას, თითოეული სათამაშო რგოლი უნდა გავაძლიეროთ. არა აქვს მნიშვნელობა, ეს ფეხბურთელები უცხოეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერები იქნებიან, უცხოელები თუ ქართული გუნდებიდან — მათ სანაკრებო დონეზე უნდა შეეძლოთ თამაში.

**— ეროვნული ჩემპიონატის დარჩენილ სამ ტურში კონკურენტებზე ცოტათი უკეთესი კალენდარი „დინამოს" აქვს — ეს თქვენ მცირე უპირატესობას ხომ არ გაძლევთ?**

— სულაც არ ვფიქრობ, რომ სხვებზე იოლი კალენდარი გვაქვს. გვინდა, რომ დარჩენილ მატჩებს, მათ შორის თასის ფინალისაც, ისე მივუდგეთ, როგორც დერბის. „დინამოს" ფასი და მისი ტრადიციები ჩვენმა მეტოქეებმა კარგად უწყიან და ისინიც დიდი მონდომებით გვეპაექრებიან.

**— „დინამომ" დუბლის შესრულება რომ ვერ მოახერხოს, ეს თქვენთვის კატასტროფა იქნება?**

— ცხოვრებაში ისეთი რამეები გადავიტანე, რომ ჩემთვის კატასტროფა აღარ არსებობს. ისე კი, ჯობდა გეკითხათ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თასსაც და ჩემპიონობასაც მოვიპოვებთ. მჯერა, გვაქვს საიმისო ძალა, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

**— მიმდინარე ჩემპიონატში ახალგაზრდა, საინტერესო მოთამაშეებს თუ ხედავთ?**

— ჩემი ფეხბურთელების გარდა, საბედნიეროდ, სხვა გუნდებშიც არიან საინტერესო ახალგაზრდები. ვიტჯორჯიელებმა, ლევან მელქაძემ და გიორგი ადამიამ წინა სეზონთან შედარებით ბევრად მოუმატეს, გამოვარჩევდი ლოკომოტიველებს, დავით სირაძეს და გიორგი ლომაიას, აგრეთვე ტორპედოელ შოთა ბაბუნაშვილს. შესაძლოა, ბოლომდე კორექტული არ ვარ, სხვა ფეხბურთელებსაც რომ არ ვასახელებ, მაგრამ ვინც ჩამოვთვალე, ისინი მართლაც დაწინაურდნენ.

**— სანაკრებო თემას მივუახლოვდით. თქვენი დებიუტი საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დიდად წარმატებული გამოდგა. თქვენ ერთი უპირატესობაც გქონდათ — ახალი მწვრთნელის ხელში პირველ მატჩს თითქმის ყველა ნაკრები კარგად თამაშობს. ახლა მეორე მატჩი გელით...**

— ხორვატიაშიც არის ასეთი გამოთქმა — ახალი ცოცხი უკეთ გვის. მაგრამ მე ცოცხი არა ვარ. ჩემი ურთიერთობა ფეხბურთელებთან ჩემეულ საძირკველს ეფუძნება — გულწრფელობა. ფეხბურთელების მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ და ვგრძნობ, რომ ნაკრების მოთამაშეებს ჩემი მოთხოვნების სჯერათ. ვინც ვერ მოერგება ამ სიტუაციას, მისთვის ნაკრებში ადგილი არ იქნება. ფეხბურთელს საკუთარი თავის და მწვრთნელის უნდა სჯეროდეს. ვეცდებით, ირლანდიასთან მაქსიმუმი გავიღოთ.

**— ირლანდიის ნაკრები უკვე კარგად შეისწავლეთ?**

— წინა შესარჩევში ხორვატია ეთამაშებოდა ირლანდიას და გარკვეული წარმოდგენა აქედანაც მაქვს მეტოქეზე. გარდა ამისა, 7 ივნისის ირლანდია — ალბანეთს ჩემი ერთ-ერთი თანაშემწე ოთარ გაბელია დაესწრება. ცხადია, ზოგადადაც ვიცნობ ირლანდიის გუნდს, რომელიც საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

**— რობი კინსა და დემიენ დაფს პერსონალურ მეურვეებს მიუჩენთ?**

— მოედნის კონკრეტულ ფართობზე მათ წინააღმდეგ პერსონალურად ვითამაშებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქის ყველაზე სახიფათო ფორვარდებს ერთი და იგივე ფეხბურთელი მეურვეობდეს.

**— ჩვენს თავდასხმას კი დისკვალიფიცირებული მიხეილ აშვეთია დააკლდება — მას ალექსანდრე იაშვილით ან შოთა არველაძით შეცვლით?**

— იაშვილსა და არველაძეს იგივე სტატუსი ექნებათ, რაც რუსეთთან მატჩისთვის — გამოძახებულთაგან არავის აქვს დაჯავშნული ადგილი არც თერთმეტეულში და არც 18-კაციან განაცხადში. დავაკვირდები, თუ როგორ გამოდიან ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატებში და როგორ წარმოაჩენენ ისინი თავს სანაკრებო შეკრებისას, საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებ.

**— გუშინ სფფ-ის გენმდივან ვალერი ჩოლარიას შეხვდით, რაზე ისაუბრეთ?**

— ორგანიზაციულ საკითხებზე. ნაკრები საირლანდიოდ 7-8 დღით შეიკრიბება. დიღმის ბაზაზე დავბინავდებით და „ლოკომოტივის" სტადიონზეც ვივარჯიშებთ. ჟურნალისტებისთვის და გულშემატკივრებისთვის კვლავაც გახსნილები ვიქნებით. თბილისიდან 9 ივნისს გავემგზავრებით ჩარტერული რეისით და იმავე დღეს დუბლინში მთავარ სტადიონზე ვივარჯიშებთ. შევიტყვე ისიც, რომ იოზეფ ბლატერს თბილისში ჩამოჰყვება უეფას ტექნიკური კომიტეტის წევრი ვლატკო მარკოვიჩი, რომელიც იმავდროულად ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. მასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, ჩვენ ოჯახებითაც ვახლობლობთ.

**დავით თავართქილაძე**

# მოუკვდე, თუ გიღალატო

## ფრუიძე ტორპედოს სეზონს დაუმთავრებს

*„ტორპედოდან" დათხოვილი ალექსანდრ შტელინი საქართველოდან აბარგებულიც არ იყო, სამგზის ჩემპიონებს ახალი თავკაცი რომ დაუნიშნეს. უკრაინელის პოსტი მისივე თანაშემწე სოსო ფრუიძემ ჩაიბარა, რომელიც კლუბის სამზარეულოს, ფეხბურთელთა შესაძლებლობებს კარგად იცნობს და ჩვენი ჩემპიონატის ავ-კარგშიც ჩინებულად ერკვევა.*

*სოსო ფრუიძის ხელში „ტორპედოს" ტიტული არ მოუგია, მაგრამ სწორედ მისი თავკაცობისას გაჭრა ქუთაისურმა კლუბმა გზა ევროპაში. „ტორპედომ" ინტერტოტოზე სტუმრად სძლია ბელგიურ „ლომელს", შინ კი დაეჩაგვრინა და მწვრთნელი დროებით დაეთხოვა კიდეც მშობლიურ კლუბს.*

*დღეს ფრუიძე ისევ პირველი კაცია, „ტორპედოს" კი არცთუ რეალური, მაგრამ საჩემპიონო შანსი მაინც შერჩენია. ჩემპიონატის ბოლომდე სამი ტური დარჩა, კლუბის ხელმძღვანელთა მიერ გაცემული საგარანტიო ვადაც 30 მაისს იწურება. ამის შემდეგ თავად ფრუიძემაც არ იცის, რა და როგორ იქნება*

**— ჩემპიონატში დაძაბულობამ კულმინაციას უწია. მსგავს პირობებში „ტორპედოს" თავკაცობას ბევრი იუარებდა. როცა „ტორპედოს" ხელმძღვანელთა შემოთავაზებას დათანხმდით, ალბათ, ვითარების სირთულეც გაითვალისწინეთ.**

— ფიქრის და ყოყმანის დრო არავის მოუცია და არც იყო. მე და შტელინი მხარდამხარ ვმუშაობდით და ერთმანეთისაც კარგად გვესმოდა. რა თქმა უნდა, უკრაინელის ხელწერასაც ვიცნობდი და, ალბათ, კლუბის თავკაცებმა არჩევანი ჩემზე გააკეთეს. ვალდებულიც ვიყავი, შემოთავაზება მიმეღო. „ტორპედოს" არაერთი წელიწადი შევალიე. აქ ბევრი სიხარული განმიცდია და იმედგაცრუებაც. ამიტომ უკანდახევა ღალატის ტოლფასი იქნებოდა.

**— ხელმძღვანელებთან იმაზეც ხომ არ გისაუბრიათ, სამი ტურის შემდეგ რა იქნება?**

— მწვრთნელობას მხოლოდ ჩემპიონატის ბოლომდე დავთანხმდი. კლუბსა და სოსო ფრუიძეს შორის ახალი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ერთმა ღმერთმა თუ იცის, რა ბედი გველის სამომავლოდ მეც და „ტორპედოსაც". ჩამთავრდება სეზონი და ვნახოთ, რა როგორ აეწყობა. ყველაფერი პირობებსა და ვითარებაზე იქნება დამოკიდებული.

**— „ტორპედოს" ჩემპიონობის შანსი ჯერაც შერჩენია. როგორ ფიქრობთ, სადღეისო პირობებით და მომზადების დონით ქუთაისელებს რა შედეგის მიღწევა შეუძლიათ?**

— არა მგონია, ჩემპიონობა „დინამომ" ვინმეს დაუთმოს. საამისოდ შუშაკის გუნდს ყველაფერი უწყობს ხელს, მათ შორის კალენდარიც. დარწმუნებული ვარ, „დინამო" „ტორპედოსთან" დაშვებულ შეცდომებს არ გაიმეორებს და დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმუმს მოინაგრებს. „ტორპედოს" კი რეალურად უეფას თასის საგზურის მოპოვება ძალუძს და სწორედ ამისთვის ვიბრძოლებთ.

**— დარჩენილ მატჩებში სათამაშო სტილის შეცვლას ან შემადგენლობაში კორექტივების შეტანას ხომ არ აპირებთ?**

— მართალია, თამაშს ჩემებურად აღვიქვამ, მაგრამ ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის. გუნდში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები იქნება, საერთო მონახაზი კი ხელუხლებელი დარჩება.

**— წინ სამი დაძაბული ტურია, რომელიც „ტორპედოსგან" მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს, პარალელურად კი არ წყდება საუბრები კლუბში არსებულ ფინანსურ კრიზისზე. დაგვეთანხმებით, ასეთ დროს ძნელია გუნდისგან სრული ყურადღების მოთხოვნა.**

— საქართველოში საითაც გაიხედავთ, ყველგან თავსაყრელი პრობლემებია და რაღა „ტორპედო" იქნება გამონაკლისი. ხომ გაგიგონიათ, ისე არასდროს წვიმს, როგორც ქუხს. ჰოდა, ჩვენი საქმეც ზუსტად ასეა. თანაც „ტორპედოში" ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს კუთვნილი დაეკარგოს. ეს ყველამ ვიცით და 30 მაისის ჩათვლით მობილიზება არ მოგვაკლდება. გუნდში სადღეისოდ საკმაოდ ნორმალური ვითარებაა და უახლოეს ტურში მოსაგებადაც ვემზადებით.

**მამუკა კვანტალიანი**



# ვნახოთ, რა ჩიჩიაა ბაბა? ლოკოს ganელს გერმანია არ უშვებს

**უკვე** რა ხანია, თბილისური „ლოკომოტივი" განელი ნანას თვისტომ მუსა ბაბას ელის, მაგრამ რკინიგზელებში მეორე შავი კაცის გამოჩენას არ დაადგა საშველი. ბაბა ნიგერიის მთავარ ქალაქ აკრაში ცხოვრობს, იქიდან საქართველოს რომ უწიოს გერმანიის გავლით, ტრანზიტული ვიზა უნდა ჰქონდეს. გერმანელები კი განელებს ბოლომდე არ ენდობიან, თქვენში იმდენი პოტენციური ემიგრანტია, რომ ფეხბურთელი და ყალთაბანდი ძნელი გასარჩევიაო.

რკინიგზელებს მაინც ეიმედებათ, რომ ადრე თუ გვიან ბაბა ტრანზიტულ ვიზას მაინც მიიღებს და მისით საამსეზონოდ ვერა, მაგრამ საევროპოდ მაინც გაძლიერდებიან.

მანამდე კი ბაბას შესახებ ის ვიცით, რომ 22 წლის შემტევი ნახევარმცველია. თუ „ლოკომოტივის" წარმომადგენელს ვერწმუნებით, თავის დროზე ბაბას თურმე იტალიურმა „უდინეზემაც" დაადგა თვალი, მაგრამ იმ საქმისგან არაფერი გამოსულა.

**მამუკა კვანტალიანი**

# საღი აზრი გაიმარჯვებს
# კროკო არ დაიხურება

*ოთხშაბათს ძალოვანებმა შპს „კროკოს“ ბიუროები დაარბიეს. 11-წლიანი სტაჟის მქონე ავტორიტეტიან ორგანიზაციას საკმაო მორალურ-მატერიალური ზარალი მიაყენეს. შსს-ს წარმომადგენლებმა „კროკოს“ თანამშრომლები და კლიენტები შეურაცხჰყვეს, დააზიანეს ორგანიზაციის კუთვნილი ინვენტარი. ასეთი სიურპრიზი დაახვედრეს ძალოვანებმა მოსკოვიდან ჩამოსულ „კროკოს“ ხელმძღვანელებს*


MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

ლიცენზია № 01-7/99

შპს „კროკო“


დიმიტრი აბესაძე

*ყველაფერი კი 6 მაისს დაიწყო. ამ დღეს ვაკე-საბურთალოს მოსამართლე მამუკა ნოზაძემ სანქცია გასცა, რის საფუძველზეც ძალოვანებს „კროკოს“ ბიუროებიდან საბუღალტრო ჩანაწერები და კომპიუტერების მონაცემთა ბაზა უნდა ამოეღოთ. სანქციის მიზეზებსა და საფუძვლიანობაზე ქვემოთ, ახლა კი ეს ვთქვათ: აღმაშფოთებელია ის მეთოდი, რომლითაც შსს-ს წარმომადგენლებმა სასამართლოს დადგენილების შესრულება სცადეს. მათი მთელი დღის განმავლობაში „კროკოს“ სალაროებში გამომწყვდეული ჰყავდათ ორგანიზაციის თანამშრომლები და პარალელურად საგანგებოდ მოტანილი ურო-სატეხებით ანგრევდნენ კედლებს და კარებებს.*

*ჩვენთან საუბარში მოსამართლე მამუკა ნოზაძემ განაცხადა, რომ ამგვარი მეთოდებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დაუშვებელია და კანონით ისჯება. მისივე განმარტებით, სასამართლო ვერდიქტი „კროკოს“ მიმართ არსებული საშხილებით გახლდათ განპირობებული. „კროკოს“ უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში და ულიცენზიოდ მუშაობაში დასდეს ბრალი.*

*პარადოქსი და დაუჯერებელია: 11-წლიანი სტაჟის მქონე ფირმა ულიცენზიოდ ეწეოდეს საქმიანობას. უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში ბრალეულობა გადასახადებისგან თავის არიდებსაც გულისხმობს, არადა, სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა საგადასახადო სამსახურმა „კროკოს“ შემოწმება და ორგანიზაციის საქმიანობაზე დადებითი აქტიც წარადგინა.*

*ასეთ ვითარებაში ერთადერთი დასკვნის საფუძველი გვრჩება. „კროკოს“ მოძვულებული ადმინისტრაციული მეთოდებით ებრძვიან. ბრძოლის პირველი მიზანი ალბათ ორგანიზაციის სათავეში მყოფ ბიზნესმენთა შეშინებას გულისხმობს.*

*ფაქტია, ბრალმდებელთათვის მეორეხარისხოვანია ბრალეულობის საფუძვლიანობა. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ მოსამართლე ნოზაძის მიერ ხელმოწერილ სანქციაში „კროკოს“ გენერალურ დირექტორად სხვა პიროვნებაა მოხსენიებული.*

*სინამდვილეში შპს „კროკოს“ გენერალური დირექტორი დიმიტრი აბესაძე გახლავთ. მოსკოვიდან გუშინ დაბრუნებულ დიმიტრი აბესაძეს „კროკოს“ სათავო ოფისში შევხვდით.*

— „კროკოს“ სათავო ოფისის თავზე ჩვენი ორგანიზაციისა და ქვეყნის დროშები ფრიალებს. ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმე და გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. გვინდა, ნორმალურ, გამართულ სახელმწიფოში ვაწარმოოთ ის ბიზნესი, რასაც ვაკეთებთ. „კროკოს“ თბილისში ასამდე თანამშრომელი ჰყავს. შესაბამისად, 100 ადამიანი ოჯახს არჩენს, არავისზე დამოკიდებული არ არის და პირველ რიგში იმ მთავრობას არ უქმნის პრობლემებს, რომელისთვისაც ხალხის ყოფა მეორეხარისხოვანია. რაც მოხდა, ეს მარტო ჩვენი ორგანიზაციის შეურაცხყოფა არ არის. ვიღაც ცდილობს, გამორჩენის მიზნით ჩრდილი მიაყენოს იმ ბიზნესს, რომლითაც თუნდაც ის 100 კაცი ინახავს ოჯახს. ჩვენთვის უმთავრესია ჩვენი კლიენტების ინტერესები. ეს ხალხი უხეშად, უცერემონიოდ გაყარეს ჩვენი ბიუროებიდან. მე ბოდიშს ვუხდი მათ იმის გამო, რომ ვიღაცამ თავის მოვალეობას გადააჭარბა.

**— პარადოქსია, 11 წელია, „კროკო“ მუშაობს და ახლა იძახიან, ულიცენზიოდო...**

— აბსურდულია ასეთი ბრალდება, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, დარწმუნდეს ჩვენი საქმიანობის იურიდიულ მართლზომიერებაში. „კროკოს“ ბიზნეს-საქმიანობა დოკუმენტურად მოწესრიგებული და სამართლებრივია. რაღა თქმა უნდა, გვაქვს საჭირო ლიცენზია, რომელიც შეცვლილი კანონმდებლობის საფუძველზე 2000 წელს ავიღეთ განუსაზღვრელი ვადით. იმის მაგივრად, რომ ცივილიზებული მეთოდებით გაერკვიათ, თუკი რაიმე პრობლემა იყო, ვანდალურად მოიქცნენ. უდანაშაულო ხალხი მოაქციეს იზოლაციაში მაშინ, როდესაც ქვეყანაში ისეთი კრიმინოგენური ვითარებაა, კაცს უშიშრად ქუჩაში ვერ გაუვლია.

**— მომხდარზე რეაგირებას თუ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ, ფაქტობრივად, დაგვარბიეს. კარებები დალეწეს, სხვადასხვა ინვენტარი დაამტვრიეს. გარდა ამისა, დიდია მორალური ზიანიც. შეაფერხეს „კროკოს“ მუშაობა. პრობლემები შეუქმნეს ჩვენს კლიენტურას. ბუნებრივია, ამის გამო პასუხს მოვითხოვთ.

*„ტოტალიზატორში ფსონის დასადებად შევედი. პროგრამაში თავჩარგული ჩემთვის სასურველ მატჩებს ვარჩევდი. რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და უცებ ერთმა იარაღიანმა სკამიდან წამომაგდო, ხელის კვრით გარეთ გამაგდო, მითხრა, დაივიწყე ეს ადგილიო“ — ნიკა ჯალაღანია*

*„კროკოსთან“ ხუთი წლის ურთიერთობა მაქვს შევდივარ და ვთამაშობ. არასარი პრობლემა არ შემქმნია, არც ის გამიგია, ამ ტოტალიზატორთან ვინმეს სადავო ჰქონოდეს რამე. გუშინ „დელისის“ ფილიალთან მისულს კარები დაკეტილი დამხვდა. გამიკვირდა, მითხრეს, შიგნით პოლიციელები არიან, „კროკო“ დაიხურებაო“ — ელიზბარ ჭყოიძე*

დიმიტრი აბესაძე: — „კროკო“ არ დაიხურება. ტოტალიზატორი უკვე ჩვეული რიტმით მუშაობს და ჩვენს კლიენტებს შეუფერხებლად მოვემსახურებით. მალე სერვისსაც გავაუმჯობესებთ. მომხდარი ვერ შეგვაშინებს. ჩვენი საქმიანობა სუფთაა.

**— როგორ ფიქრობთ, რით დამთავრდება ეს საქმე?**

— საღი აზრი გაიმარჯვებს. მჯერა, რომ ასეთ ქვეყანაშიც არ დაიკარგება სამართალი.

*ნიღბოსნების და ჯანიანი ჯავშნისშუბლიანების ქვეყანაში ძნელია სამართლის პოვნა.*

**პაატა კვანტალიანი**

გუშინწინდელ ამბებთან დაკავშირებით დღეს, 16 მაისს, 14 საათზე „კროკოს“ ცენტრალურ ოფისში (წერეთლის გამზირი, კორპუსი 11) „კროკოს“ ხელმძღვანელობა გამართავს პრესკონფერენციას


„კროკოს“ რუსთაველის ბიურო. დღისით მზისით გატეხილი ფანჯრები და აქედან გადამძვრალი პოლიციელები


„დელისის“ ბიუროში შენგრეული კარი სასწრაფოდ შესაკეთებელი შეიქნა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი





## იუვენტუსი 3:1 რეალი (1:2)

ტურინი „დელე ალპი“. 67 299 მაყურებელი. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

1:0 ტრეზეგე (12), 2:0 დელ პიერო (43), 3:0 ნედვედი (73), 3:1 ზიდანი (89)
*ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (67, მეკარე)*

| იუვენტუსი | რეალი |
|---|---|
| ბუფონი, ტურამი, ტუდორი, მონტერო, ბირინდელი (პესოტო 60), ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი (კონტე 89), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (კამორანეზი 77) | კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფ. კონსეისაო (რონალდო 52), გუტი, კამბიასო (მაკმანამანი 76), ფიგუ, ზიდანი, რაული |
| მწვრთნელი: მარჩელო ლიპი | მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე |

გაფრთხილება: კონსეისაო, მონტერო, სალგადო, ტაკინარდი, იერო, ნედვედი, ფიგუ

# ყველაფერი სეიფში ჩაკეტეთ!

## ის დიდსახელოვან თასზე ფიქრობდა



„რეალის“ დაჩოქება დავიდ ტრეზეგეს გოლით დაიწყო

მადრიდის „რეალმა“ წააგო, გავარდა! ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშნენ ზინედინ ზიდანი, რონალდო, ლუიშ ფიგუ, რაული, რობერტო კარლოსი და ძმანნი მათნი. გუნდი, რომელიც ამ ორი კვირის წინ შინ „მალიორკასთან“ 1:5 დამარცხდა და ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „უელვას“ 0:0 დაუზავდა, „იუვენტუსთან“ 1:3-ს აგებს — ამან ხალხი გააოცა.

ტურინის „იუვენტუსმა“ კი მოიგო, ფინალშია! გუნდი, რომელიც ბოლო თვეა საგანგებო ფორმაშია (თუმც სუსტი თამაშით არც მანამდე გამოირჩეოდა), რომელსაც მარჩელო ლიპი ხელმძღვანელობს და რომელმაც, როგორც წესი, ბოლო წამამდე დაძაბული იტალიის პირველობა იურიდიულად ორი ტურით, ხოლო მორალურად და ფაქტობრივად ხუთი ტურით ადრე მოიგო, ოთხშაბათს „რეალზე“ შესამჩნევად ძლიერი გამოდგა.

ანგარიში მე-12 წუთზე დავიდ ტრეზეგემ გახსნა, შემდეგ, პირველი ტაიმის მიწურულს ალესანდრო დელ პიერომ მეორე გაიტანა, მაგრამ ეს, ბუნებრივია, ჯერ კიდევ არ იყო მადრიდელთა დამარცხების გარანტია. „რეალს“ და მის ვარსკვლავებს ყოველთვის შეუძლიათ 90 წუთს ერთი ბრწყინვალე წამი გამოსტყუონ, მით უფრო, რომ „დელე ალპიზე“ ძალიან დიდი კოზირი, რონალდო პირველ ტაიმში სათადარიგოთა სკამზე ეჯდათ.

კოზირი მეორე ტაიმში ამოქმედდა. თან, ვისენტე დელ ბოსკემ იგი მესამე თავდამსხმელად შეიყვანა მოედანზე და მანაც, როგორც ვარსკვლავს მართებს, თავისი კონკრეტული კვალი დააჩნია შეხვედრას — პენალტი მოიპოვა, მაგრამ პორტუგალიური ფეხბურთის გამორჩეულმა ფიგურამ, ლუიშ ფიგუმ თერთმეტი მეტრიდან „იუვეს“ გოლკიპერს, ჯანლუიჯი ბუფონს მიართვა ბურთი.

იქნებ ეს ნათქვამი, ბურთის მირთმევის შესახებ, გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ნებისმიერი პენალტი, თუ მას სწორად დაარტყამენ, გოლია, ასე რომ...

მეორე ნახევრის დაწყებიდან პენალტამდე უპირატესობას, უფრო კონკრეტულად კი ბურთს, „რეალი“ ფლობდა, თუმცა მომენტები ვერ შექმნა, გაცუდებული პენალტის შემდეგ კი ვითარება ისევ „ბებერი ქალბატონის“ სასარგებლოდ შეიცვალა და ექვს წუთში „რეალმა“ მესამე გოლი გაუშვა — იგი უსწრაფესი გარღვევით და ტექნიკური დარტყმით დიდებულმა ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა გაიტანა.

„სამეფო კლუბმა“ ერთი მაინც შეაგდო და ეს ზინედინ ზიდანმა შეძლო — ზიდანი, რაგინდ ცუდად მიუდიოდეს თამაში, გადამწყვეტ შეხვედრებში, ოდნავი გადაჭარბებით თუ ვიტყვით, უგოლოდ არ რჩება. ერთი სიტყვით, „რეალის“ ვარსკვლავთა შორის ორმა უდიადესმა, რონადომ და ზიდანმა თავიანთი წილი თითო მომენტი შექმნეს — პენალტი და გოლი — მაგრამ გუნდი დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში იყო ისეთი სახიფათო მომენტებიც, რომლებიც გოლებით ვერ დასრულდა. მათი უმეტესობა „იუვემ“ შექმნა, ხოლო რაც შეეხება მატჩის კიდევ ერთ დრამატულ ეპიზოდს, იგი ლოგიკურად დასრულდა, ცრემლით — პაველ ნედვედმა უწყინარ ვითარებაში, მოედნის ცენტრში, უსაგნოდ და უსარგებლოდ დაარღვია სტივ მაკმანამანთან ბრძოლაში თამაშის წესი და შვეიცარიელმა მსაჯმა ურს მაიერმა ის ყვითელი ბარათი აუფრიალა, რომელიც ჩეხს ფინალს ატოვებინებს.

„ფინალში ვერ ვითამაშებ, ლამისაა დარდისგან მოვკვდე — თქვა მატჩის შემდეგ ნედვედმა — შევცდი. გამარჯვება კი მახარებს, მაგრამ მანჩესტერში ტრიბუნაზე ვიჯდები, არადა ფეხბურთის ტრიბუნიდან ცქერას დაჩვეული არ ვარ. რაღა დამრჩენია, ჩემი თანაგუნდელები მთელი დარჩენილი დროის მანძილზე უნდა ვაქეზო“.

ჩეხს ჰკითხეს, ხომ არ შეუმცირებს ფინალის გაცდენა წლის ბოლოს „ოქროს ბურთის“ მოპოვების შანსებს.

„არავითარ ჯილდოზე არ ვფიქრობდი, მე ვფიქრობდი დიდ სახელოვან თასზე, რომელიც კარიერაში ერთხელ მაინც მინდოდა აღმემართა“ — უპასუხა მან. „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ კი ასე ბრძანა:

„ფინალს პაველს მივუძღვნით. ძალიან მწყდება გული, რომ ნედვედის დარი გულლია და სხვათათვის თავდადებული ადამიანი სწორედ იმ შეხვედრას გამოტოვებს, რომელში მონაწილეობაც ასე ძალიან სურდა“.

„იუვეს“ ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი: „ნედვედის დისკვალიფიკაციამ დამალონა. იგი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, რომელიც გუნდისთვის გულს იღებს, ხოლო ისეთი თამაში, როგორიც ფინალია, ადამიანის კარიერაში შესაძლოა მხოლოდ ერთხელ იყოს“.

თუმცა, პრესკონფერენციის მთავარი თემა ნედვედის დისკვალიფიკაცია მაინც არ ყოფილა.

„რეალის“ თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე: „როდესაც გუნდი ორი თამაშის ჯამში გიგებს და შენზე მეტი გოლი გააქვს, გამარჯვების ღირსია. ფინალში „იუვენტუსს“ საუკეთესოს ვუსურვებ. ჩვენ კი ფინალში გასვლის შანსი ბოლო წუთამდე გვქონდა, ვიბრძოლეთ მთელი მატჩის განმავლობაში, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. არ ვეთანხმები იმათ, ვინც იტყვის, რომ ცუდად ვითამაშეთ, უბრალოდ ძალიან დიდი გუნდის წინაშე ვიდექით. რას იზამ, დღევანდელ ფეხბურთში შეხვედრები მალიმალ მოსდევს ერთმანეთს და მოთამაშეები ძალების აღდგენას ვერ ასწრებენ“.

მადრიდელთაგან ჟურნალისტებს რონალდოც წარუდგა.

„საუკეთესო ფორმაში არ ვარ. ყველა ღონე ვიხმარე მატჩის ბედი ჩვენს სასარგებლოდ რომ მოგვეტრიალებინა, მაგრამ არ გამოგვივიდა. დიდი ნახევარფინალი იყო. „იუვენტუსმა“ შესანიშნავად ითამაშა, ჩვენ კი დაცვაში პრობლემები გვქონდა. გარდა ამისა, ჩვენი წილი შანსები ვერ გამოვიყენეთ, ფიგუმ პენალტი ვერ შეაგდო, ხოლო რაულმა თავით ვერ დაუმიზნა“.

სტივ მაკმანამანი, „რეალის“ ნახევარმცველი: „დავმარცხდით, მაშინ, როდესაც პირველ შეხვედრაში 2:1 გვქონდა მოგებული. ეს ძალიან სამწუხაროა“.

„იუვეს“ მწვრთნელის, მარჩელო ლიპის შეხედულება კი ასეთი გახლდათ:

„სეზონის დასაწყისიდან ცდილობენ იტალიური კლუბები კრიტიკოსებს დაუმტკიცონ, რომ ჩვენს ფეხბურთში არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც ისინი წარმოაჩენენ. ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპს ოთხივე გუნდი გასცდა, მეოთხედფინალში სამი მოხვდა და სამივე ნახევარფინალში გავიდა. ახლა, თქვენ ხედავთ, რომ ფინალი იტალიურია. ეს ადასტურებს, რომ ჩვენს ფეხბურთზე ყველამ პატივისცემით უნდა ილაპარაკოს. ვერ დავიჩემებ, რომ იგი ულამაზესია, მაგრამ პატივისცემით მოპყრობას იმსახურებს. ჩვენ ვიცოდით, რომ დიდი „იუვე“ გვჭირდებოდა და ისეთი დიდი „იუვე“ გულწრფელად მიჩვევია. უძლიერეს „რეალს“ დიდი „იუვეს“ კი თუ ეყოფოდა, არ ვიცოდი, მაგრამ მოედანზე ჩვენმა გუნდმა საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა. დიდი სიამოვნება მივიღე. ასეთი ფენომენალური მეტოქის ძლევით ფინალში გასვლა, საგანგებო სიამოვნებაა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბოლო თვეებში „რეალმა“ საგანგებო შეხვედრები ჩაატარა. ბევრი ამბობდა, რომ მის წინააღმდეგ შანსი არ გვქონდა, თუმცა პირველი მატჩის შემდეგ ვგრძნობდით, რომ მისი დამარცხება, თან ძალიან კარგი ფეხბურთით დამარცხება შეგვეძლო. ჩვენ თავდაცვის დიდი უნარი გამოვავლინეთ. „რეალის“ წინააღმდეგ თავის დაცვა აუცილებელია და ამას თითქმის მთელი გუნდით ვაკეთებდით, ხოლო შეტევაში უცდომელად სწრაფად ვერთვებოდით და ცალკეული ფეხბურთელების უნიკალურ ოსტატობას ვეყრდნობოდით. გოლები სწორედ ასე გავიტანეთ და ახლა კი წინ ფინალია. ეს ფინალი წარმატებული რამდენიმე წლიწადის მოჰყვა და მთელი მოპოვებული განძეულის სეიფში შენახვის სურვილი გააჩინა, რათა მაინც უფრო დიდი განძი მოიხვეჭო“.

**პაპუნა ძიდია**



ლუიშ ფიგუს ერჩივნა, ის პენალტი გაეტანა



გოოლ! ალესანდრო დელ პიერომ მეორე გოლი გაიტანა



პაველ ნედვედმა „იუვე“ ფინალში გაიყვანა, თავად კი უფინალოდ დარჩა

გუშინწინდელი „იუვენტუს“ — „რეალის“ ნახევარფინალური ჯახი ჭეშმარიტად ტიტანთა შერკინება იყო და მსოფლიო ფეხბურთმაც ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა.

ვარსკვლავებით დახუნძლული სამეფო კლუბი დიდი იმედებით ჩავიდა ჩრდილო იტალიაში. კასტილიური ფლაგმანი ნავებას არამც და არამც არ აპირებდა, მაგრამ სპორტულმა ფორტუნამ და მარჩელო ლიპის სიბრძნემ თამაშის ბედი სხვაგვარად წარმართა. ტიტანთა ბრძოლაზე არ შევჩერდებით, ამჯერად საფეხბურთო ექოზე ვთქვათ. ვნახოთ ესპანური პრესის გამოძახილი საჩემპიონთალიგო ომში დაცემული მადრიდის „რეალისა“ და გამარჯვებული „იუვენტუსის“ შესახებ.

# კოსმიური ვარსკვლავები შავ უფსკრულში

## ფიგუ, შე ბარსელონელო!

„**მარკა**“: „იუვეს“ შავმა უფსკრულმა „რეალის“ კოსმიური ვარსკვლავები შთანთქა“; „**დონ ბალონი**“: „რეალი“ ტურინში დაცემის შემდეგ მეათე თასს ემშვიდობება“; „**ელ მუნდო**“: „იუვენტუსმა“ „რეალი“ ჩემპიონთა ლიგიდან დაითხოვა“; „**ელ მუნდო დეპორტივო**“: „იუვეს“ სასიკვდილო დარტყმა“; „**სპორტი**“: „უსუსური „რეალი“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა“; „**ლა ოპინიონი**“: „მადრიდის „რეალი“ ტურინული ჯოჯოხეთის შემდეგ ლიგის ფინალის მიღმა რჩება“; „**ლევანტე**“: „რეალი“ დელე ალპიზე უიმედოდ ჩაიფერფლა“ და სხვა მრავალი.

ცეცხლზე ნავთს ასხამს მარად სეპარატიზმის ვირუსშეყრილი ბარსელონური „სპორტი“: „ზიდანმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა და იმითაც სხვა ვერა შეძლო რა, გარდა მომაკვდავი „რეალის“ აგონიის მცირედი გახანგრძლივებისა“. სიტყვამ მოიტანა და, ალბათ საინტერესოა იმავე ზიდანის, რობერტო კარლოსის და დიდი მატჩის მონაწილე სხვა ფეხბურთელთა მოსაზრება ნახევარფინალური დაპირისპირების შესახებ. ყოფილი იუვენტუსელი, ფრანგი ზიდანი პორტუგალიელი ფიგუს მიერ გაცუდებულ პენალტს მაინცდამაინც მოიაკვლინებულ ცოდვად არ მიიჩნევს. „ჩვენს დამარცხებაში მარტო ფიგუ არ არის დამნაშავე, ეს ყოველი ჩვენთაგანის ბრალია. „იუვენტუსი“ უკეთ ირჯებოდა და ამჟამად პრიმერადივიზიონის ჩემპიონობის გარდა სხვა საფიქრალი აღარ გვექნება“ — სევდანარევი იუმორით დასძინა მადრიდელთა ვარსკვლავმა.

სამეფო კლუბის მეორე ლიდერი რობერტო კარლოსი კი ბედს უჩიოდა: „სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. გადამწყვეტ ეპიზოდებში ჩვენთვის ბედს რომ არ ეღალატა, ტაბლოზე სულ სხვანაირი ანგარიში იქნებოდა“. თავხოტორა ბრაზილიელმა „რეალის“ მოთამაშეთა მატჩისშემდგომ განწყობაზეც ილაპარაკა. ბიჭებს გასახდელში სახე ჩამოსტიროდათ. თითოეული იმაზე ვფიქრობდით, რომ მომავალი მატჩების დროს მსგავსი რამ არ განმეორდეს“.

მადრიდელთა კარის დარაჯი იკერ კასილიასი ზიდანის მსგავსად ცდილობს მარტო პრიმერადივიზიონზე გადაიტანოს ყურადღება. „ძალიან სამწუხაროა, რომ ლიგაში ასე დავასრულეთ გამოსვლა, მაგრამ ნერვიულობა და წონასწორობის დაკარგვა კარგს არას მოგვიტანს. ესპანეთის ჩემპიონატის მოგებას უნდა ვეცადოთ, ჩვენთვის ახლა ეს არის მთავარი ამოცანა“. კასილიასმა ტრეზეგეს გოლი „ბედის გაღიმებას“ მიაწერა და „იუვენტუსის“ შედეგიანობაზეც ისაუბრა: „პრაქტიკულად, რამდენჯერაც მოუახლოვდნენ ჩვენს საჯარიმოს, იმდენი გოლიც გაგვიტანეს“. საფეხბურთო ფორტუნა ცვალებადი რამ გახლავთ სენიორ კასილიას: აგერ, პატივცემული თქვენი პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესიც ბრძანებს: „ჩვენმა გუნდმა საუკეთესო თვისებები ვერ გამოავლინა. იტალიელები ფიზიკურად უფრო ძლიერად გამოიყურებოდნენ, უფრო მეტს დარბოდნენ და იბრძოდნენ ბურთისთვის, ვიდრე „რეალის“ მოთამაშეები. სამეფო კლუბი „იუვენტუსს“ ბევრად სჯობს, მაგრამ დღეს ჩვენ არ გვიმართლებდა. თუმც ეს დამარცხება „რეალში“ არაფერს შეცვლის — მწვრთნელიც იგივე დარჩება და ფეხბურთელებიც.“ პრეზიდენტმა იეროსა და დელ ბოსკეს შესახებ თქვა: „ფერნანდო კვლავაც „რეალში“ თამაშს გააგრძელებს. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველია, თუმცა ტურინული მატჩის შემდეგ მტერმაც და მოყვარემაც მაგრად შეახურა. მესამე გოლს იეროს ვერ დავაბრალებ, იგი ვერასოდეს ვერ დარბოდა ნედვედზე უფრო სწრაფად. რაც შეეხება დელ ბოსკეს, წაგების მიუხედავად მას უდიდეს პატივს ვცემთ და, შესაბამისად, „რეალის“ კარი მისთვის ყოველთვის ღიაა“.

ბოლოს ისევ უიღბლო ლუზიტანელ კაბალიეროს, დონ ლუიშ ფიგუს დავუბრუნდეთ. კატალონიური პრესის დამოკიდებულება „ბარსელონას“ ყოფილი ლიდერისადმი საყოველთაოდ ცნობილია და ამ „მამაშვილურ“ ურთიერ-




თობას ზემონახსენები „ელ მუნდო დეპორტივოც“ ფრიად „ელოლიავება“: „ფიგუ მადრიდული თეთრი ფორმით და „რეალის“ ღირსების მცველი — აი, პორტუგალიელი ფეხბურთელის დღევანდელი იმიჯი და მოვალეობაც. უფრო სწორად, წესით და რიგით, ასე უნდა იყოს, მაგრამ გუშინდელმა თამაშმა გვიჩვენა, რომ ყველაფერი პირიქითაა. ფიგუ მადრიდის „რეალში“ „ბარსელონას“ მეხუთე კოლონა გახლავთ! ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია — ლუიშმა მშობლიური კლუბი იმიტომ მიატოვა, რათა „ბარსას“ ყველაზე დაუძინებელი მტერი ყველაზე გადამწყვეტ ეპიზოდში გაემწარებინა! დიდება ამ ტრანსფერს! „იუვესთან“ გაფუჭებულ პენალტს ოქროს ფასი აქვს და ბარსელონას ქუჩებში გამოსული გახარებული ხალხიც ამ დამსახურებას ლუიშ ფიგუს არასოდეს დაუვიწყებს!“

ეს კაცი (ბარსელონელი ჟურნალისტი) ამ სიტყვებს სერიოზულად წერს თუ „რეალის“ წაგებაზე მოლაღავე-მოალერსეა, თავად განსაჯეთ.

**ლადო ხომერიკი**


რობერტო კარლოსი


ლუიშ ფიგუ

# მე დავრჩებოდი

## კუპერს ისევ ინტერში უნდა, მანჩინის ლაციოში

„ინტერმა“ „მილანთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი წააგო. უფრო სწორად, არ წაუგია, ორი ფრე (0:0 და 1:1) ითამაშა და გავარდა, მაგრამ თავდადებისა და მონდომებისთვის „სან სიროს“ ტრიბუნების ტაში გაიყოლა. ტაშის მეორე დღეს კი იტალიური პრესის ფურცლებიდან სულ სხვა განწყობის ნიაღვარი წამოვიდა.


ექტორ კუპერი

„კუპერი მიდის, შემდეგი მანჩინია“ — წერდა მილანური „გაძეტა დელო სპორტი“. შეგახსენებთ, თუმცა, რა შეხსენება უნდა, რომ რობერტო მანჩინი „ლაციოს“ მწვრთნელია, რომელზეც ჭორად ამბობენ, „შავ-ლურჯების“ სათავეში არგენტინელი ექტორ რაულ კუპერის ნაცვლად მივაო.

სხვა ამბავია, რომ „ინტერის“ კაპიტანი, ხავიერ ძანეტი თავის ახლანდელ ხელმძღვანელს იცავს.

„მან დიდი სამუშაო გასწია. გაიხსენეთ, რა ხანია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში არ ვყოფილვართ, ხოლო წინა სეზონში კინაღამ ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. ერთი სიტყვით, მწვრთნელისა ფრიად მწამს. იგი „ინტერს“ ძველ დიდებას დაუბრუნებს“.

მაგრამ, ეს ყველაფერი მილანური კლუბის პრეზიდენტის, მასიმო მორატის გადასაწყვეტია. მას, „ილ გრანდე ინტერის“, ანუ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დიდი „ინტერის“ პრეზიდენტის, ანჯელო მორატის ვაჟს აგერ უკვე 14 წელიწადია სკუდეტოს მოპოვება ამაოდ სურს.

„მე ამ თემაზე ბევრს ვერ ვილაპარაკებ — ამბობს თავად კუპერი — ჩემი ნაშრომი სხვებმა უნდა განსაჯონ. ჩემზე რომ იყოს, დავრჩებოდი, მაგრამ, ვიმეორებ, ეს სხვების გადასაწყვეტია. რაც შეეხება გაუთავებელ საუბრებს ჩემი მოხსნის შესახებ, ეს პროფესიის შემადგენელი ნაწილია და როგორც ასეთს, ბუნებრივად მივიჩნევ“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რობერტო მანჩინის აღარ ეკითხებიან?

„მასიმო მორატის ხუთი თვეა არ შევხვედრივარ, თუმცა ყველამ იცის, რომ ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ — ამბობს მანჩინი — სხვა ამბავია, რომ „ლაციოდან“ წასვლა არ მსურს. ამ კლუბში და რომში თავს ჩინებულად ვგრძნობ, უბრალოდ, „ლაციოს“ ხელმძღვანელთაგან რაღაც საკითხებზე პასუხს ველი. ვფიქრობ, „ლაციოში“ კარგი იქნება თუ ყურადღებას ახალგაზრდებზე შევაჩერებთ. გამოცდილი ვარსკვლავები მათ მხოლოდ უნდა ამდიდრებდნენ. მაგალითად, ჰოლანდიელი იაპ სტამი მსურს ნებისმიერ ფასად შევინარჩუნო. იგი განსაკუთრებული ადამიანია, რომელიც თანაგუნდელებს უყვართ“.

თუმცა სტამი თანაგუნდელებს „ლაციოში“ უყვართ, ჩვენ კი ამ რომაულ კლუბს იმიტომ შევეხეთ, რომ „ინტერზე“ ვსაუბრობდით. „ინტერს“, ამ სეზონის დასრულების შემდეგ, შეიძლება ალვარო რეკობა და ლუიჯი დი ბიაჯო წაუვიდნენ.

ამბობენ, რეკობამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ინტერის“ ხელმძღვანელობას იმედი კიდევ ერთხელ გაუცრუაო. აკი შეცვალა კიდეც კუპერმა შესვენებისას. რაც შეეხება მისი მომავალი შესაძლო გუნდის ვინაობას, ხმათა თანახმად, ის, ალბათ, „ბარსელონა“ იქნება.

31 წლის დი ბიაჯო კი წარმოშობით „ლაციოდან“ არის და, თურმე, მშობლიური გუნდი იწვევს კიდეც. დი ბიაჯოს „ლაციოს“ გარდა „ფოჯასა“ და „რომაშიც“ უთამაშია. ამბობენ, რომ მისით ლონდონის „ფულემიც“ კი ყოფილა დაინტერესებული.

**ბაკუნა ძედია**

# ზე-ზეედორფი თასისკენ მიიწევს

„**მილანი**“ ჩემპიონთა ლიგის ფინალშია და, ბუნებრივია, მეტზე ფიქრობს.

„დიდი გუნდი ნახევარფინალში გამარჯვებას არ უნდა ზეიმობდეს — განაცხადა „შავ-წითელთა“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა — მით უფრო, როდესაც მეტის ძალა შეგწევს“.



ზეედორფი ჩემპიონთა ლიგას გაშინაურებული კაცია, თასი ორჯერ, „აიაქსის“ და „რეალის“ შემადგენლობაში აქვს მოპოვებული. შესაბამისად, 28 მაისს, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ იგი შესაძლოა ზერეკორდსმენად, თასის სამგზის მფლობელად ვიხილოთ.

„ინტერს“ რომ ვაჯობეთ, რამდენიმე საათის შემდეგ უკვე ახალ მიზანს და სტიმულს ვგრძნობდით. ყველაფერი თავიდან იწყება: მზადება, კონცენტრაცია... „მილანმა“ მეექვსედ უნდა მოიპოვოს ჩემპიონთა თასი“.

ზეედორფისგან განსხვავებით, პაოლო მალდინის თასი მხოლოდ ერთხელ, 1994 წელს აქვს მოპოვებული. მაშინ, ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით, „შავ-წითლებმა“ იოჰან კრუიფის „ბარსელონას“ საშინელება, 4:0 მოუწყეს.

„ფინალში ჩვენი მეტოქის ვინაობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. „იუვენტუსს“ ძლიერი ხასიათი აქვს, არასდროს ნებდება, მაგრამ ჩვენ მანჩესტერში გასამარჯვებლად მივდივართ. ჩვენ ფინალისტობას ვიმსახურებდით“ — ამბობს მალდინი.

**ბაკუნა ძედია**

# პორტილიოს მერიდიანი



**ლონდონის** სამხრეთ — აღმოსავლეთში, გრინვიჩის მერიდიანის სიახლოვეს დაბანაკებული „ჩარლტონი“ ახალ ფეხბურთელებს, არც მეტი, არც ნაკლები, ესპანეთის დედაქალაქში ეძებს, და თქვენ გგონიათ, მისი ინტერესების საგანს „ატლეტიკოს“ ან „რაიო ვალეკანოს“ რომელიმე ფეხბურთელი წარმოადგენს? ნურას უკაცრავად — „ჩარლტონის“ მწვრთნელი ალან კერბიშლი უახლოეს მომავალში მადრიდში გამგზავრებას და „რეალთან“ მოლაპარაკების დაწყებას აპირებს. საქმე სამეფო კლუბის რანგით მესამე და მეოთხე ფორვარდებს, ფერნანდო მორიენტესსა და ხავიერ პორტილიოს ეხებათ. ცხადია, ორივე მათგანის ყიდვას „ჩარლტონი“ ვერ გაწვდება, მაგრამ ერთ-ერთის გადაბირება ლონდონურ კლუბში რეალურად მიაჩნიათ.

ინგლისიდან მოსული სხვა სატრანსფერო ამბებიდან აღსანიშნავია კევინ ფილიპსის გარშემო გაჩაღებული ნადირობა. ერთ დროს ინგლისის ნაკრების თავდამსხმელის, 29 წლის ფილიპსის შესაძენად „ბლექბერნი“, „ლიდსი“, „ტოტენჰემი“, „მიდლსბრო“ და სქოთური „რეინჯერსი“ ილტვიან, თუმცა აწ უკვე პირველდივიზიონელი „სანდერლენდის“ მიერ დაწესებული ფასი, 4 მილიონი გირვანქა, ყველას ეძვირება. მაგალითად, „მიდლსბროს“ მწვრთნელი სტივ მაკლარენი თვლის, რომ ფილიპსი მილიონნახევარზე მეტი არ ღირს.

პრემიერლიგიდან გავარდნას ბოლო წუთს გადარჩენილი „ბოლტონი“ კი ისედაც სულ უცხოელებით დაკომპლექტებული გუნდის გაძლიერების გზებს ისევ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს. ამჯერად მწვრთნელ სემ ოლარდაისის მზერა „ოლიმპიაკოსის“ მცველ სტელიოს იანაკოპულოსზე შეჩერდა. ბერძენი მცველი თავისი პირდაპირი მოვალეობის სათანადო შესრულების გარდა მეტოქეებსაც ხშირად აწიოკებს, რაც გასულ უქმეებზე „პანათინაიკოსის“ კარში გატანილი ორი გოლით დაამტკიცა. მალე იანაკოპულოსი თავისუფალი აგენტი ხდება და ოლარდაისიც მის უფასოდ გადაბირებას და ამით „პარი სენ ჟერმენში“ დაბრუნებული ბერნარ მენდის შეცვლას ცდილობს. ფრანგი მცველი ერთი წლით იყო ნათხოვარი, მთლად ყიდვა კი პარიზელებმა 4 მილიონად შესთავაზეს, რაც ბოლტონელებს ნამეტანი ეძვირათ და იუარეს.

**გიგა ძოგახიძე**

# ფულემი და მისი ფულები კოულმენს ჩააბარეს

**გუშინ,** თბილისის დროით 18 საათზე „ფულემმა“ პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც კრის კოულმენი კლუბის ახალ მენეჯერად გამოაცხადეს.



მოგეხსენებათ, ლონდონური გუნდის ძველი მენეჯერი, ფრანგი ჟან ტიგანა პოსტიდან აპრილში გადადგა, როცა პრემიერლიგაში სეზონის დასრულებამდე ხუთი ტური რჩებოდა და „ფულემი“ თავს უსაფრთხოდ სულაც არ გრძნობდა. მაშინ სეზონის ჩამთავრება სწორედ კოულმენს მიანდეს. კოულმენმა სასწაული მოახდინა, მოუგო „ჩარლტონს“ (1:0), „ევერტონს“ (2:0) და „ნიუკასლს“ (2:1). „ჩელსის“ ფრედ (1:1) ეთამაშა და მხოლოდ ერთი მატჩი წააგო — 0:2 „ლიდსთან“. საბოლოოდ, „ფულემი“ მე-14 ადგილზე გავიდა და, რა გასაკვირია, რომ უფროსობამ კოულმენის გაშვება აღარ ინდომა.

ახალი მენეჯერი მხოლოდ 32 წლისაა და ჯერ კიდევ ორი წლის წინ „ფულემის“ კაპიტანი იყო. ფეხბურთელის კარიერის დასრულებას არც ფიქრობდა, მაგრამ ავტოკატასტროფაში ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და იძულებული შეიქნა. კოულმენი უელსელია და თავისი სამშობლოს ნაკრებშიც თამაშობდა. სხვათა შორის, „ფულემის“ მეპატრონე მოჰამედ ალ ფაედს ერთ ხანს, ტიგანის შემცვლელად ჯორჯ ბარნლი და კლაუს ტოპმიოლერიც ეგულებოდა, ბოლოს კი კოულმენი ამჯობინა.

### კრის კოულმენი

დაიბადა 1970 წლის 10 ივნისს, სუონსიში, უელსი

1986: ჩაირიცხა „მანჩესტერ სიტიში“

1987: გადავიდა „სუონსიში“

1991: „კრისტალ პალასმა“ 275 ათას გირვანქად იყიდა

1992: ავსტრიასთან მატჩში სანაკრებო დებიუტი ჰქონდა

1993: „კრისტალ პალასი“ პრემიერლიგიდან გავარდა

1994: „კრისტალ პალასი“ პირველი დივიზიონის ჩემპიონი გახდა და პრემიერლიგაში დაბრუნდა

1995: „კრისტალ პალასის“ პრემიერლიგიდან მეორედ გავარდნის შემდეგ 2,8 მილიონი გირვანქად პრემიერლიგის ჩემპიონ „ბლექბერნში“ გადავიდა

1997: ორ მილიონ გირვანქად მეორე დივიზიონის „ფულემში“ გადავიდა და კაპიტანიც გახდა

1999: კევინ კიგანის მენეჯერობით „ფულემი“ პირველ დივიზიონში გადავიდა

2001: ავტოკატასტროფაში ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის ნახევარი გაუცდა. „ფულემი“ პრემიერლიგაში გადავიდა

2002: მარტში „ფულემის“ სარეზერვო გუნდში დაბრუნდა. მაისში ბოლო სანაკრებო მატჩიც ჩაატარა, მაგრამ ფეხმა ისევ შეაწუხა და ოქტომბერში კარიერა დაასრულა, რის მერეც კლუბში მწვრთნელად დარჩა

2003: 17 აპრილს დროებით მენეჯერად დანიშნეს, გუშინ კი პოსტზე ერთი წლით დაამტკიცეს

### პრემიერლიგის მწვრთნელები

| გუნდი | მენეჯერი | როდის დანიშნეს | ვინ შეცვალა |
|---|---|---|---|
| არსენალი | არსენ ვენგერი | სექტემბერი, 1996 | ბრიუს რიოჰი |
| ასტონ ვილა | ვაკანტურია | | გრემ ტეილორი |
| ბირმინგემი | სტივ ბრიუსი | დეკემბერი, 2001 | ტრევორ ფრენსისი |
| ბლექბერნი | გრემ სუნესი | მარტი, 2000 | ტონი პარკსი |
| ბოლტონი | სემ ალარდაისი | ოქტომბერი, 1999 | კოლინ ტოდი |
| ჩარლტონი | ალან კერბიშლი | ივნისი, 1995 | სტივ გრიტი |
| ჩელსი | კლაუდიო რანიერი | სექტემბერი, 2000 | ჯანლუკა ვიალი |
| ევერტონი | დევიდ მოიესი | მარტი, 2002 | უოლტერ სმიტი |
| ფულემი | კრის კოულმენი | მაისი, 2003 | ჟან ტიგანა |
| ლიდსი | პიტერ რიდი | მაისი, 2003 | ტერი ვენეიბლზი |
| ლესტერი | მიკი ადამსი | აპრილი, 2002 | დეივ ბასეტი |
| ლივერპული | ჟერარ ულიე | ივლისი, 1998 | როი ევანსი |
| სიტი | კევინ კიგანი | მაისი, 2001 | ჯო როილი |
| მანჩესტერ იუნ. | ალექს ფერგიუსონი | ნოემბერი, 1986 | რონ ატკინსონი |
| მიდლსბრო | სტივ მაკლარენი | ივლისი, 2001 | ბრაიან რობსონი |
| ნიუკასლი | ბობი რობსონი | სექტემბერი, 1999 | რუუდ გულიტი |
| პორტსმუთი | ჰარი რედნაპი | მარტი, 2002 | გრემ რიქსი |
| საუთჰემპტონი | გორდონ სტრაჩანი | ოქტომბერი, 2001 | სტიუარტ გრეი |
| ტოტენჰემი | გლენ ჰოდლი | აპრილი, 2001 | ჯორჯ გრემი |

# ულიემ ბაბელი გაწყვიტა

**ორიოდ წლის წინ** „ლივერპულის“ გერმანელ ლეგიონერ მარკუს ბაბელს მძიმე სენი შეეყარა, რომელმაც ინვალიდის სავარძელს მიაჯაჭვა. ფეხბურთელს სიარულის უნარი წაერთვა.

იგი გერმანიაში დაბრუნდა და იმკურნალა. გამოჯანმრთელების შემდეგ, ცხადია, ლივერპულს მიაშურა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვეღარ დაიმკვიდრა, „ლივერპულის“ მეორე გუნდში თამაშობდა.

ავადობამ მას, რასაკვირველია, დაღი დაასვა და ნერვებმა უღალატა. მეორე გუნდში თამაშისას უხეშობისთვის ორჯერ გააძევეს. ერთხელ ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდა „ასტონ ვილასთან“ ლიგის თასზე. მწვრთნელმა რომ შეცვალა, ფეხბურთელმა იუკადრისა და ფრანგს შეედავა.

მარკუს ბაბელს კლუბთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ჟერარ ულიემ ახალი გუნდის მოსაძებნად კარისკენ მიუთითა.

„იგი ძალიან აგრესიულად იქცეოდა. ეს მხოლოდ „ასტონ ვილასთან“ მატჩს არ ეხება, მეორე გუნდში მის თამაშსაც ვერ შევაფასებ დამაკმაყოფილებლად. უხეშობას უმატა. თავიდან წავუყრუე, მაგრამ ახლა ორი კვირის ხელფასს დავუქვითავთ. ბაბელს ჩემს გეგმებში ადგილი აღარ აქვს. ვფიქრობ, კლუბი მის წინაშე პირნათელია. გაჭირვების ჟამს გვერდიდან არ მოვცილებივართ, სანაცვლოდ კი უმადურობა მივიღეთ“ — თქვა ჟერარ ულიემ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ასტონ ვილა მენეჯერს ეძებს



**გრემ ტეილორი** „ასტონ ვილას“ მენეჯერობიდან გადადგა კლუბის თავმჯდომარესთან, დუგ ელისთან ცხარე საუბრის შემდეგ. 1987-90 წლებში ტეილორი „ასტონ ვილას“ მენეჯერი უკვე ყოფილა და წარმატებულიც, მერე კი ინგლისის ნაკრებსაც წვრთნიდა საკმაოდ წარუმატებლად. იმის შემდეგ ბარე ცამეტი წელიწადი გავიდა, თუმცა ეს საქმეს არ ეხება.

წლეულს „ასტონ ვილას“ მე-16 ადგილზე გავიდა, მაგრამ მენეჯერი სათამაშო უიღბლობის გამო არ წასულა, საქმე ფინანსებშია. ბოლო წლებში „ვილამ“ ბევრი ფული, ბარე 30 მილიონი გირვანქა დახარჯა ვარსკვლავთა შესაძენად. კლუბის უფროსობას ძველი დიდების აღდგენა სწადია — ოციოდ წლის წინათ „ვილა“ ინგლისის დიდ ხუთეულში შედიოდა. თურქი ალფაი, ხუან პაბლო ანხელი, ბოშკო ბალაბანი, მუსტაფა ჰაჯი და ჰასან კაჩლული — აი, ბირმინგემელთა ლეგიონი და მთავარი იმედი.

შარშან ამდროს მენეჯერად დანიშნული ტეილორის ამბავი კი ძველთაგანვე ცნობილია: ამ მწვრთნელს ახალგაზრდების და უცნობი ფეხბურთელების პოვნა და წარმოჩენა უყვარს. ამიტომაც, წლეულს ბევრმა ახალბედამ ითამაშა „ვილასთვის“ გადამწყვეტ თამაშებში: ვთქვათ, თავდამსხმელმა სტივენ მურმა და მცველმა რობ ედვარდსმა ძირითადში ურყევი ადგილები მიიღეს. პიტ ვიტინგემი, სტივენ კუკი და ლაიამ რიჯველი კი ხშირად ჩანდნენ ძირითადში. ამასობაში კი ოპოზიციის ლიდერი ალფაი გახდა, რომელსაც მინდორზე გასვლა აღარ ეღირსა.

სეზონი დასრულდა თუ არა, ტეილორმა ერთი-ორი ძვირი მოთამაშის, მათ შორის ანხელის (9,5 მილიონ გირვანქადაა ნაყიდი) და ალფაის (6 მილიონ გირვანქად) გაყიდვა და საერთოდაც კლუბის სატრანსფერო და ფინანსური პოლიტიკის შეცვლა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო და იმწამსვე გადადგა.

გუშინ, 58 წლის ტეილორი ბოდიმურის ბაზაზე მივიდა ფეხბურთელებთან დასამშვიდობებლად, თავმჯდომარე ელისმა კი ძველ ვილელს, „ჩარლტონის“ მენეჯერ ალან კერბიშლის დაურეკა და მენეჯერობა შესთავაზა.

კერბიშლის პასუხი ჯერჯერობით უარია და ბირმინგემელთა მენეჯერობის კანდიდატთა სიაში სხვა ხალხიც გამოიკვეთა:

„ვესტ ბრომვიჩის“ თავკაცი გარი მეგსონი, „ლესტერის“ მიკი ადამსი, სანდერლენდელი ასისტენტი სტივ კოტერლი და „ბოლტონის“ მესაჭე სემ ალარდაისი. თუმცა, ამ უკანასკნელის გადასვლა ბირმინგემში გამორიცხულია.

ფავორიტად კი „ლიდსის“ ყოფილი მენეჯერი დევიდ ოლირი ითვლება, თუმც, ის ყველაზე დიდხელფასიანი მწვრთნელი იყო ინგლისში და ძნელი საფიქრალია, რომ „ვილა“ ასეთ ხელფასს გასწვდეს.

**ირაკლი ბამყრელიძე**



გრემ ტეილორის სავარაუდო შემცვლელები: სტივ კოტერლი, დევიდ ოლირი, სემ ალარდაისი, ალან კერბიშლი, გარი მეგსონი, მიკი ადამსი



სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49



სერხიო მარქარიანი

# სეროჟას დაარტყეს?

**საბერძნეთის** ჩემპიონატის გასულ ტურში პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ ათენის „პანათინაიკოსს“ უმასპინძლა. ძირძველი მეტოქეების ბრძოლა ყოველთვის გამორჩეული იყო. ამჯერად ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა იმის გამო, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პირეოსელები დედაქალაქელებს სამი ქულით ჩამორჩებოდნენ. გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადაინაცვლებდნენ და ასეც მოხდა. „ოლიმპიაკოსმა“ „პანათინაიკოსი“ 3:0 გაანადგურა და ცხრილის სათავეში მოექცა.

ათენური კლუბის მთავარი მწვრთნელი გუნდში მეორედ დაბრუნებული სერხიო მარქარიანი გახლდათ, ხოლო „ოლიმპიაკოსის“ თავკაცი — ჩვენთვის კარგად ცნობილი უკრაინელი ოლეგ პროტასოვია.

მარცხით განაწყენებულმა „პანათინაიკოსის“ ქომაგთა ჯარმა ორიოდ დღის წინ გუნდის საწვრთნელ ბაზას მიაკითხა და მწვრთნელ-ფეხბურთელთა ჯიშჯილაგი მოიკითხა. მანქანები ხომ დალეწეს, მერე პარაგვაელს მიუხდნენ, ერთი-ორი წაუსილაქეს და რამდენიმე ფეხბურთელიც მიყვეს. 250-მდე გამძვინვარებული ფანის რისხვა პოლიციამ ცრემლსადენი გაზით გაანელა. აყალმაყალში სამი პოლიციელი დაჭრეს, 30 ქომაგი კი დააპატიმრეს. ნაცემმა, შეურაცხყოფილმა სერხიო მარქარიანმა ეშმაკს მიაფურთხა და იმავე საღამოს გუნდიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსი“ სტუმრად „ქსანტის“ ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში ოლეგ პროტასოვის გუნდი ჩემპიონობას გაინაღდებს. „პანათინაიკოსმაც“ რომ მოიგოს ბოლო შეხვედრა, „ოლიმპიაკოსი“ მაინც ჩემპიონი გახდება, რადგან ურთიერთ. შეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. „პანათინაიკოსმა“ ათენში 3:2 მოიგო.

შეგახსენებთ, რომ პროტასოვმა ამ წლის თებერვალში სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი შეცვალა.

**გაგა ხუციშვილი**

# ალბერტ, ხელი გაანძრიე!
## პრინცის ქისა უმაქნისია



„**მონაკოს**“ დარჩენილ ორ ტურში ჩემპიონობის შანსი კიდევ აქვს, მაგრამ ამასთან ერთად გუნდს შავი მომავალი ემუქრება. კლუბს 87 მილიონი ევროვალი დაუგროვდა. ამ ფულის თუნდაც ნაწილის გასტუმრება 21 მაისამდე თუ ვერ მოახერხეს, გამორიცხული არაა, პირველი დივიზიონიდან დააქვეითონ.

კლუბის შეფუცხუნებულმა ბოსებმა მონაკოს პრინც ალბერტს დახმარებისთვის მიმართეს. პრინცი მიდგა-მოდგა, მაგრამ საჭირო თანხა ჯერჯერობით ვერსად იშოვა.

„87 მილიონი ევრო დიდძალი ფულია და ასე უცბად, ერთ კვირაში, მისი მოძებნა იოლი არაა. არადა, წიხლი სწორედ მაშინ დაგვაჭირეს, როცა საჩემპიონოდ ვიბრძვით. ბანკი, რომელმაც ზემოთხსენებული თანხა კლუბს ასესხა, გარანტიას ითხოვს, რომ 21 მაისამდე პრობლემებს მოვაგვარებთ. ჩვენ ინვესტორებს ვეძებთ და ოდენ სამი მსურველი გამოჩნდა. მათ საინვესტიციო კომპანია დააფუძნეს და კლუბის წილი, 10 პროცენტი იყიდეს, რის სანაცვლოდაც მხოლოდ 5 მილიონი ევრო გაიღეს. ეს თანხა პრობლემებს დროებით შეამსუბუქებს, სამომავლოდ კი დიდად ვერ დაგვეხმარება“.

შეგახსენებთ, რომ ხვალ „მონაკოს“ საფრანგეთის თასის ფინალში „სოშოსთან“ ბრძოლა ელის. მატჩი პარიზში გაიმართება.

**გაგა ხუციშვილი**


რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


# ამააამ მაააამ
## ფრანკ ლებეფი ალ ჯაზირამ იყიდა



*ყატარიდან ნავთობი მიდის, ფული ჩადის. იქაური საფეხბურთო კლუბები უკვე ევროპელ ვარსკვლავებს „ეთამაშებიან“. დოჰას „ალ საადმა“ თვით რომარიოც კი შეახუჭუჭა, მაგრამ ბრაზილიელი აზიიდან მალე აიბარგა. დოჰური კლუბის პატრონმა, ყატარის შეიხის მემკვიდრემ, იასინ ბენ ამაამ თვალი შტეფან ეფენბერგს და მარიო ბასლერსაც დაადგა. გერმანელები შესაძლოა მალე „ალ საადას“ მაისურებით შემოსილნი ვიხილოთ, მანამდე კი ერთი ტრანსფერი ნაღდად შედგა. „მარსელის“ კაპიტანი ფრანკ ლებეფი ყატარის ჩემპიონატში ითამაშებს.*

*ფეხბურთელის აგენტი „ალ საადას“ წარმომადგენლებს პარიზის ერთ-ერთ ოტელში შეხვდა. მოლაპარაკებამ ერთ კვირაზე მეტხანს გასტანა. საბოლოოდ გადამწყვეტი სიტყვა... ბეტიმ თქვა. ბეტი ფრანკის მეუღლეა და მხოლოდ მისი თანხმობის შედეგად გაფორმდა კონტრაქტი. პარიზში შეხვედრამდე ცოლ-ქმარი დოჰაში დაპატიჟეს და ფეხბურთელმა თავისი მომავალი სამუშაო ადგილი მოინახულა. ბეტი აღფრთოვანებული და მოხიბლული დარჩა აზიური სტუმარმასპინძლობით.*

*საგულისხმოა, რომ ლებეფებთან ერთად ყატარში როლან კურბისიც გაემგზავრა, რომელსაც პრინცმა ბენ ამაამ თავისი გუნდის მწვრთნელობა შესთავაზა. გარდა ამისა, პრინცი ლუის ფერდინანდესსაც შეეხმიანა. მას თვეში 200 ათასი ევრო შეჰპირდა, მაგრამ ფრანგმა ორჯერ მეტი მოითხოვა.*

*„ეკიპთან“ ინტერვიუში ფრანკ ლებეფმა მომავალი განჭვრიტა.*

— თქვენ მწვანე კუპიურებს გაედევნეთ?

— წინასწარ გაფრთხილებთ ფულზე კრინტს არ დავძრავ. „მარსელთან“ კონტრაქტის ვადა ამოიწურა და ალან პერენს თვენახევრის წინ ვუთხარი, კარიერის დასრულებას რომ ვაპირებდი. მოულოდნელად ყატარიდან დამირეკეს. პირველად უარით გავისტუმრე, ერაყში გახურებული ომი იყო. მეორედ რომ მომაკითხეს, დავფიქრდი. იმიტომ დავთანხმდი, რომ ევროპაში კარიერის გაგრძელება არ მსურდა, რადგან აქაურობა მომბეზრდა. ასაკიც წამომეწია. „მარსელი“ ალბათ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება და მომავალ სეზონში 50-მდე მატჩის თამაშის პერსპექტივა ნამდვილად არ მხიბლავდა. ფიზიკურად ვერ გავუძლებდი.

— ახალ გუნდთან ერთად ჩემპიონობას გეგმავთ?

— ვგეგმავთ იმას, რასაც შეიხი გვიბრძანებს. მას პირადად ვესაუბრე და მიზნები დაწვრილებით ამიხსნა. მალე ალბათ შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი შემოგვიერთდებიან. ყატარში ფეხბურთის დონის ამაღლებას ჩვენი გამოცდილება ნამდვილად წაადგება. მათ სურთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ.

— დოჰაში ოჯახსაც წაიყვანთ?

— რა თქმა უნდა. ძაღლებსაც კი არ დავტოვებ. მე და ბეტი ქალაქს გავეცანით და ვნახეთ სახლი, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ. ბავშვებს მოგვიანებით ჩავიყვან და ფრანგულ ლიცეუმში მივაბარებ. დოჰა შესანიშნავი ქალაქია, ჩემი ჩასვლის ამბავი რომ შეიტყვეს, „ალ ჯაზირამაც“ კი სტუმრად მიმიპატიჟა.

— დისკვალიფიკაციის გამო „ველოდრომზე“ ბოლო შეხვედრაში ვერ ითამაშებთ. გამოსათხოვარ მატჩის გამართვას აპირებთ?

— მე ჟან პიერ პაპენი არ ვარ. პაპენი მარსელელთა კერპი იყო, მე კი „მარსელთან“ ერთად არაფერი მომიგია. დავემშვიდობები კლუბს და გულშემატკივრებს. ოღონდ ვშიშობ, დარჩენას შემომთავაზებენ.

# მარსელიოზული გეგმები
## პერენი ორი კაცის შეწყვილებას აპირებს

**პირველი წრის** ჩემპიონმა „მარსელმა“ გაზაფხულზე აშკარად უკლო და სამომავლოდ მზადებას აქედანვე იწყებს. ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, გუნდის მწვრთნელი ალენ პერენი განსაკუთრებით ფორვარდების, იბრაჰიმ ბაკაიოკოსა და დმიტრი სიჩოვის გარჯითაა უკმაყოფილო.

შეტევის ხაზის გასაძლიერებლად ალენ პერენს ბორდოელი პედრო პაულეტა და „გენგამის“ მეგოლე დიდიე დროგბა შეუგულებია. მწვრთნელს თავის გუნდში სწორედ ამ ფეხბურთელების ნახვა სურს და დარწმუნებულია, რომ ისინი თავდასხმაში იდეალურ წყვილს შექმნიან.

საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ პორტუგალიელ ლეგიონერს არაერთი ევროპული გრანდი იწვევს. გარდა ამისა, პედრო პაულეტას სამშობლოდანაც შეეხმიანნენ. საეჭვოა, რომ იგი „მარსელში“ გადასვლაზე დათანხმდეს, რადგან აშკარად უკეთესი ვარიანტები აქვს.

რაც შეეხება დიდიე დროგბას, იგი ქვეყნის ჩემპიონს, „ლიონსაც“ სურს და „გენგამზე“ უკეთეს კლუბში გადაბარგების შანსს ალბათ ხელიდან არ გაუშვებს.

„მარსელი“ ოსერელ ჯიბრილ სისესაც ეკურკურება, მაგრამ თმა-წვერთეთრა ფეხბურთელს ჟერარ ულიესკენ, „ლივერპულში“ მიუწევს გული.

ფრანგული პრესის ცნობით, „მარსელში“ სამუშაოდ ამ კლუბისა და ნაკრების ყოფილი მოთამაშე მანუელ ამორო დაბრუნდება, რომელიც გუნდს ფეხბურთელების შერჩევაში დაეხმარება.

**გაგა ხუციშვილი**



პედრო პაულეტა ორჭოფობს, დიდიე დროგბა კი ალბათ დათანხმდება



*ეროვნული ჩემპიონატების დასრულების შემდეგ შევიტყობთ, უეფაში შემავალი 52 ქვეყნიდან რომელი გუნდები ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგაში, უეფას თასზე და ინტერტოტოზე. მაგრამ, მოგეხსენებათ, უეფას თასზე სამი ადგილი ფეირ პლეის ლაურეატებს ეკუთვნით და იმ სამი გუნდის ევროთასზე მოხვედრა სულაც არ არის დამოკიდებული ჩემპიონატში ნაჩვენებ შედეგზე.*

# დანიის მსროლელებს საჩუქარს არავინ აძლევს



ასე არ შეიძლება!

**ფეირ პლეის** რეიტინგს უეფა ევროტურნირებზე ქვეყნების ნაკრებთა და კლუბთა თამაშების მიხედვით ადგენს. საამსეზონო ათვლა 2002 წლის ივნისში დაიწყო და 28 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალის მერე დასრულდება.

თავად რეიტინგის შედგენისას უეფა მის მიერვე განსაზღვრული ექვსი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს. ესენია: წითელი და ყვითელი ბარათების რაოდენობა, თამაშისას პოზიციური ტენდენციები, მეტოქის პატივისცემა, მსაჯებისადმი პატივისცემა, გუნდის ოფიციალურ წარმომადგენელთა ქცევა და გულშემატკივართა ქცევა. თითოეულ ამ კრიტერიუმს თავისი ღირებულება აქვს, რომლებიც ჯამდება, მატჩების რაოდენობაზე იყოფა და კოეფიციენტიც მზადაა.

ფედერაცია, რომელსაც ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს, უეფას თასზე ერთ ადგილს ავტომატურად იღებს, ხოლო დარჩენილი ორი ადგილის ბედი კენჭისყრით წყდება იმ ფედერაციებს შორის, რომელთა კოეფიციენტიც რვაზე მაღალია.

საღეისოდ რეიტინგში ინგლისი ლიდერობს, რომელსაც 8,234 ქულა აქვს. რვაზე მაღალი კოეფიციენტი კი კიდევ 11 ქვეყანას დაგროვებია — შვედეთს, საფრანგეთს, ფინეთს, რუსეთს, პოლონეთს, შვეიცარიას, ირლანდიას, დანიას, სლოვაკეთს, ნორვეგიას და ბელგიას.

სულ რეიტინგში 46 ქვეყანაა. დანარჩენები? საქმე ის გახლავთ, რომ ფეირ პლეის რეიტინგში მოსახვედრად ქვეყანას სეზონის განმავლობაში სულ მცირე 24 საერთაშორისო (სანაკრებოც და საკლუბოც) მატჩი უნდა დაუგროვდეს. სამწუხაროდ, ამ დანარჩენებში მოხვდა საქართველოც, რომელსაც წინა ივნისიდან ოღენ 18 მატჩი დაუგროვდა. ესეც რომ არა, დანის და ბოთლის მსროლელ ქვეყანას ფეირ პლეის რეიტინგში მაღალი ადგილის დაკავების იმედი ისედაც არ უნდა ჰქონდეს.

როცა ფეირ პლეის სამი ლაურეატი ქვეყანა გაირკვევა, ეს კი ივნისში მოხდება, მერე ამ ქვეყნის გუნდებთაგან ყველაზე სამართლიანებს შეარჩევენ. ეს საქმე კი უკვე ეროვნულ ფედერაციებს ევალებათ.

როგორც მოგახსენეთ, ამ დროისთვის ფეირ პლეის ლაურეატობის მოგების მთავარი კანდიდატი ინგლისია, სადაც სეზონი დამთავრდა კიდეც. იქ ყველაზე სამართლიან და კორექტულ გუნდთა ხუთეული ასე გამოიყურება: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ნიუკასლი“, „ლივერპული“, „ჩელსი“ და „მანჩესტერ სიტი“. მოგეხსენებათ, ამათგან პირველი ოთხი ისედაც ითამაშებს ჩემპიონთა ლიგასა თუ უეფას თასზე, ჰოდა, თუ ინგლისმა პირველობა შეინარჩუნა, „მანჩესტერ სიტის“ უეფას თასზე თამაშის საშუალება მიეცემა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ შარშან ფეირ პლეის გამარჯვებული ნორვეგიული „ბრანი“ გახდა. კენჭისყრით კი დარჩენილი ორი საგზური ინგლისურ „იფსვიჩსა“ და ჩეხურ „სიგმას“ ერგოთ.

**ირაკლი ნინიძე**

# ფიფაში ჭრა-კერვის კურსები გაიხსნა

**მსოფლიოს** მომავალი ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის 32-დან 36-მდე გაზრდის იდეა მაისის დასაწყისში გაჩნდა. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ თხოვნით მიმართა ფიფას, ეგებ ოთხი ადგილი კიდევ დაამატოთო. მიზეზი ის გახლავთ, რომ სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფიდან მუნდიალზე გამსვლელთა რაოდენობა ხუთიდან ოთხამდე შემცირდა. თან ბრაზილიას, მსოფლიოს ჩემპიონობის მიუხედავად, დანარჩენებივით შესარჩევში თამაში მოუწევს.

თავიდან ფიფას აღმასკომმა იდეა მოიწონა, რამაც ფრანც ბეკენბაუერი გაანაწყენა. „კაიზერ ფრანცმა“ ჩინოვნიკებს შეუთვალა, თქვენ ფული გსურთ, აბა, მე მკითხეთ, დამატებით ოთხი ნაკრების მასპინძლობა როგორი თავსატეხიაო.

ახლახან ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ფირფიტა გადააბრუნა: „სათქმელად ადვილია — მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა. შეიძლება იდეა ფურცელზე ადვილი დასაწერი იყოს, მაგრამ განსახორციელებლად ძალიან რთული იქნება. ეს არარეალურად მეჩვენება“.

საბოლოო გადაწყვეტილებას ივნისის ბოლოს პარიზში გასამართ ფიფას აღმასკომის სხდომაზე მიიღებენ.

გარდა ამისა, ზეპ ბლატერმა ისიც თქვა, რომ სეზონის განმავლობაში კლუბებს ძალიან ბევრი მატჩის გამართვა უწევთ: „გარშემო ყველაფერი ფეხბურთით გაიჟღინთა. განსაკუთრებით ეს ტელევიზიას ეხება. ჩვენ სანაკრებო შეხვედრების გაზრდაზე ვსაუბრობთ, ამ დროს კი კლუბები ვალებში იხრჩობიან. ვფიქრობ, ეროვნულ ჩემპიონატებში გუნდების რაოდენობა 16-მდე ან 18-მდე უნდა შემცირდეს. ვალდებულნი ვართ, საერთაშორისო სანაკრებო მატჩების კალენდარს პატივი ვცეთ. ბევრ ფეხბურთელს სეზონის განმავლობაში 65-მდე შეხვედრის გამართვა უწევს, რაც მათი ჯანმრთელობისთვის უდავოდ მავნებელია. ჩვენ ფეხბურთელების ინტერესების დაცვა გვმართებს“.

**გაგა ხუციშვილი**

# ბიელსამ გამოცდები დაიწყო



**მომდევნო კვირაში**, ლა პლატაში, არგენტინის ნაკრები ამხანაგურად შეხვდება ურუგვაის. ამ მატჩს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მარსელო ბიელსა ახალი ფეხბურთელების გამოცდას აპირებს, რომლებთაგან, ვინ იცის, ეგებ ზოგიერთი მომავალი ბატისტუტა და ვერონი (მარადონაზე, ბოდიში) იყოს.

ამასთანავე, მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ ეს არგენტინის ნაკრების პირველი საშინაო მატჩია. ნამუნდიალევს კი არგენტინამ უკვე ექვსი შეხვედრის ჩატარება მოასწრო, რომელთაგან ხუთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა.

ბიელსამ საურუგვაოდ ჯერჯერობით 14 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთაგან ევროპაში მოთამაშე მხოლოდ ერთია. ეს ფრანგული „ნანტის“ მცველი მაურო სეტო გახლავთ. ხოლო იმ 14 ფეხბურთელიდან „სან ლორენსოს“ მეკარე სებასტიან სახა ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელად ითვლება — მას ოთხი სანაკრებო კეპი აქვს. სამსამჯერ მიუწვევიათ ნაკრებში „ინდეპენდიენტეს“ ტრიო, გაბრიელ მილიტო, პაბლო გუინასუ და ფედერიკო ინსუა. დანარჩენები ნაკრების დებიუტანტები არიან.

ამ 14 ფეხბურთელის გარდა ბიელსა „ბოკა ხუნიორსის“, „რივერ პლეიტის“ და „რასინგის“ რამდენიმე მოთამაშის მიწვევასაც აპირებს. ოღონდ ამ კლუბებს ჯერ ლიბერტადორესის თასზე აქვთ სათამაშო და ფეხბურთელების სანაკრებოდ გასაშვებად მზად არ არიან.

*მეკარე: სებასტიან სახა (სან ლორენსო);*

*მცველები: გაბრიელ მილიტო, ფედერიკო დომინგესი (ორივე ინდეპენდიენტე), მაურო სეტო (ნანტი, საფრანგეთი), ლეანდრო ფერნანდესი (ნიუელს ოლდ ბოიზი);*

*ნახევარმცველები: ლეანდრო გრაციანი, ემანუელ ჩენტურიონი (ორივე ველეს სარსფილდი), დანიელ დიასი (როსარიო სენტრალი), ხავიერ მასკერანო (რივერ პლეიტი), მაურო როსალესი (ნიუელს ოლდ ბოიზი), პაბლო გინაზუ, ფედერიკო ინსუა (ორივე ინდეპენდიენტე);*

*თავდამსხმელები: ლუჩანო ფიგეროა, სეზარ დელგადო (ორივე როსარიო სენტრალი)*

# აბა, ვის უნდა კაკა?

ბრაზილიელი კაკა, რომელზეც ამ ბოლო დროს ისე არ საუბრობენ, წინ სიტყვა სენსაცია თუ არ მიაწებეს, „მილანისკენ“ მიიწევს.

„ვიცი, რომ „სან პაულუს“ ჩემი გაყიდვა სურს. ვიმედოვნებ, რომ ამ საქმეს გვარიანად გამორჩებიან და ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებენ — ამბობს 21 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელსაც სრულად რიკარდუ ისჯკსონ სანტუშ ლეიტე ჰქვია — ვიცი ისიც, რომ „მილანის“ გარდა „რეალიც“ დაინტერესებულია ჩემი შეძენით. ვფიქრობ, რომელიმე ოფიციალურ წინადადებასაც გამოაგზავნის“.

„რეალის“ რა მოგახსენოთ, „მილანის“ დირექტორმა, ცნობილმა ლეონარდომ კი შესაძლოა მართლაც გაახერხოს ეს საქმე. თუმცა აი, სულ ბოლოს „ინტერიც“ ახსენეს...

**ბაკუნა ძიდია**

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXXVII ტური**

**სელტიკი 6:2 დანდი**

1:0 ლარსონი (14), 1:1 ბ. სმიტი (26), 2:1, 3:1 ტომპსონი (27, 30), 4:1, 5:1 მელოუნი (52, 63), 6:1 მიალბი (77), 6:2 მაირი (90)

**დანდი:** სპერონი, ბ. სმიტი, ვილკი (ბრედი 69), **ხიზანიშვილი** (ფორბსი 55), ერნანდესი, მაკეი, გ. რაე, მაირი, ნოვო, მილნი, ბერჩილი (კარანცა 72)

***გიორგი ნემსაძე** სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

59 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 37 | 30 | 4 | 3 | 94:26 | 94 |
| რეინჯერსი | 36 | 29 | 4 | 3 | 93:27 | 91 |
| ჰართსი | 36 | 17 | 9 | 10 | 56:49 | 60 |
| კილმარნოკი | 36 | 16 | 8 | 12 | 45:50 | 56 |
| დანფერმლაინი | 36 | 13 | 6 | 17 | 51:63 | 45 |
| დანდი | 37 | 10 | 14 | 13 | 50:59 | 44 |
| ჰიბერნიანი | 36 | 14 | 6 | 16 | 52:60 | 48 |
| აბერდინი | 36 | 11 | 10 | 15 | 36:52 | 43 |
| ლივინგსტონი | 36 | 9 | 8 | 19 | 45:54 | 35 |
| პარტიკ თისლი | 36 | 7 | 11 | 18 | 34:55 | 32 |
| დანდი იუნ. | 36 | 6 | 11 | 19 | 34:66 | 29 |
| მოზერუელი | 36 | 6 | 7 | 23 | 37:66 | 25 |

## პოლონეთი

**თასის ფინალი**

**საპასუხო მატჩი**

**პლოცკი 0:3 ვისლა (1:0)**

0:1 ჟურავსკი (27), 0:2, 0:3 კუჟბა (58, 59)

## ინგლისი

**I დივიზიონი**

**პლეი ოფი. საპასუხო მატჩი**

**რედინგი 0:1 ვულვერჰემპტონი (1:2)**

0:1 ა. რაე (81)

**ფინალი. 26 მაისი**

**ვულვერჰემპტონი — შეფილდ იუნ. ან ნოტინგემი**

**II დივიზიონი**

**ფინალი. 25 მაისი**

**ქუინზ პარკი — კარდიფი**

**III დივიზიონი**

**ფინალი. 24 მაისი**

**ლინკოლნი — ბორნმუთი**

## ლობანოვსკის თასი

**მატჩი III ადგილისთვის**

**ცსკა (რუსეთი) 1:0 ლოკომოტივი (რუსეთი)**

**ფინალი**

**დინამო (უკრაინა) 3:2 შახტარი (უკრაინა)**

Portugal 2003

UEFA UNDER 17 Championship

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი ფინალური ეტაპი

**ნახევარფინალი**

**ესპანეთი 5:2 ავსტრია**

1:0, 2:0 დ. სანჩესი (4, 12), 3:0 კასესი (16), 4:0 დ. სანჩესი (37), 4:1 ფუხსი (58), 4:2 მ. სტანკოვიჩი (62), 5:2 დ. სანჩესი (68)

**პორტუგალია 2:2დ.დ.(პენ.3:2) ინგლისი**

0:1 ბოუდიტჩი (8), 1:1 ვიერინია (10), 1:2 ჯ. მილნერი (21), 2:2 სალეირუ (80)

**მატჩი III ადგილისთვის. ხვალ**

**ავსტრია — ინგლისი**

**ფინალი. ხვალ**

**პორტუგალია — ესპანეთი**

## Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**კორინთიანსი (ბრაზილია) 1:2 რივერ პლეიტი (არგენტინა) (1:2)**

1:0 ლეიდსონი (9), 1:1 დემიკელისი (22), 1:2 ფუერტესი (733)

**კორინთიანსი:** დონი, როჟერიო, ფაბიო ლუსიანო, ანდერსონი, როჟერი, ფაბინიო, ფაბრიციო (პინგო 80), ლეანდრო (რენატო 46; ამარალი 76), ვაგნერი, ლეიდსონი, გილი

**რივერ პლეიტი:** ბულოუბასიჩი, გარსე, ამელი, დემიკელისი, ლეკუე, კუდეტი, გ. პერეირა (ახუმადა 65), საპატა (ლ. გონსალესი 70), ფუერტესი, დალესანდრო (ლუდუენა 88), კავენაგი

გაძევება: როჟერი (45), ფაბინიო (90)

65 000 მაყურებელი

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 2,25 | 3,3 | 2,8 | 1,33 | 1,24 | 1,51 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,5 | 3,6 | 5,3 | 1,05 | 1,16 | 2,14 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.30 | 005 | ჰანსა-არმინია | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 18.30 | 006 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,68 |
| 18.30 | 007 | ვერდერი-შალკე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 008 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 011 | ფიურტი-ბურგჰაუსენი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 18.00 | 012 | უნიონი-ბრაუნშვაიგი | 2,35 | 3,3 | 2,2 | 1,37 | 1,13 | 1,32 |
| 18.00 | 013 | მაინცი-ლიუბეკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 18.00 | 014 | ობერჰაუსენი-აინტრახტი | 3,4 | 3,4 | 1,85 | 1,7 | 1,19 | 1,19 |
| 18.00 | 015 | როიტლინგენი-ალემანია | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| 18.00 | 016 | სტ.პაული-დუისბურგი | 1,75 | 3,5 | 3,5 | 1,16 | 1,16 | 1,75 |
| 18.00 | 017 | ფრაიბურგი-კარლსრუე | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1,09 | 1,27 | 1,71 |
| 18.00 | 018 | კიოლნი-ტრირი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22.00 | 022 | ესენი-ოსნაბრიუკი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 22.30 | 023 | მიუნსტერი-პადერბორნი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 024 | ვატენშაიდი-ურდინგენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.00 | 026 | ქემნიცი-ვერდერი(მ) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 17.00 | 028 | ჰამბურგი(მ)-აუე | 3,1 | 3,3 | 2,0 | 1,59 | 1,21 | 1,24 |
| 17.00 | 029 | კილი-დორტმუნდი(მ) | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 030 | ფერლი-ლევერკუზენი(მ) | 1,65 | 3,4 | 4,2 | 1,11 | 1,18 | 1,87 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22.00 | 034 | ბაიერნი(მ)-შვაინფურტი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17.30 | 035 | რეგენსბურგი-აუგსბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 036 | ვეენი-ერფურტი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 17.30 | 037 | კიკერსი-დარმშტადი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.30 | 038 | ჰოფენჰაიმი-საარბრიუკენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 039 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ფულენდორფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 040 | უნტერჰახინგი-ზიგენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 041 | უნტერჰახინგი-ზიგენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |

### იტალია. სერია "A". XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 048 | ატალანტა-კომო | 1,05 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 18.00 | 049 | კიევო-რომა | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 18.00 | 050 | ლაციო-ბრეშა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 18.00 | 051 | მილანი-ბოლონია | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 18.00 | 052 | მოდენა-ინტერი | 4,2 | 1,9 | 2,6 | 1,3 | 1,6 | 1,09 |
| 18.00 | 053 | პარმა-პიაჩენცა | 1,2 | 4,0 | 6,0 | 1 | 1 | 2,4 |
| 18.00 | 054 | პერუჯა-უდინეზე | 2,5 | 2,8 | 2,2 | 1,32 | 1,17 | 1,23 |
| 18.00 | 055 | რეჯინა-იუვენტუსი | 1,65 | 3,3 | 4,0 | 1,1 | 1,16 | 1,8 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23.30 | 078 | რასინგი-ატლეტიკო | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 00.30 | 079 | დეპორტივო-ვალენსია | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 21.00 | 080 | სევილია-რაიო | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 081 | ვილიარეალი-სელტა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 21.00 | 082 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 21.00 | 083 | ალავესი-ბილბაო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 22.00 | 084 | სოსიედადი-უელვა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.30 | 085 | რეალი-მალაგა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.00 | 086 | ოსასუნა-ბეტისი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 24.00 | 087 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 21.30 | 088 | ლევანტე-კორდობა | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 21.30 | 089 | ფეროლი-ალბასეტე | 2,9 | 2,6 | 2,7 | 1,37 | 1,39 | 1,32 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 14.30 | 090 | ხეტაფე-სერესი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| 15.00 | 091 | ოვიედო-სპორტინგი | 2,0 | 2,9 | 3,5 | 1,18 | 1,27 | 1,58 |
| 21.00 | 092 | კომპოსტელა-ლეგანესი | 2,25 | 2,6 | 3,6 | 1,2 | 1,38 | 1,5 |
| 21.00 | 093 | ეიბარი-ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 21.00 | 094 | ტერასა-ლას პალმასი | 2,4 | 2,6 | 3,3 | 1,24 | 1,38 | 1,45 |
| 21.00 | 095 | ალმერია-ნუმანსია | 2,0 | 2,6 | 4,6 | 1,13 | 1,39 | 1,66 |
| 21.30 | 096 | მურსია-სალამანკა | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 22.00 | 097 | ტენერიფე-ეხიდო | 1,9 | 2,6 | 5,0 | 1,09 | 1,37 | 1,71 |
| 22.00 | 098 | სარაგოსა-ელჩე | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 099 | ამიენი-მეცი | 3,1 | 3,0 | 2,3 | 1,52 | 1,32 | 1,3 |
| 23.00 | 100 | კაენი-კრეტეი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 101 | შატორუ-ვასკეალი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.00 | 102 | კლერმონი-სტ.ეტიენი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 23.00 | 103 | გრენობლი-ლე მანი | 3,1 | 2,8 | 2,4 | 1,47 | 1,35 | 1,29 |
| 23.00 | 104 | გენიონი-ისტრი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 105 | ლავალი-ნიორი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 106 | ნანსი-ბოვე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 107 | რეიმსი-ტულუზი | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,39 |
| 23.00 | 108 | ვალანსი-ლორიანი | 3,1 | 3,0 | 2,3 | 1,52 | 1,32 | 1,3 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 00.30 | 109 | მარიტიმუ-გიმარაეში | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 110 | პორტუ-ვარზიმი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,83 |
| 01.15 | 111 | ნასიონალი-სპორტინგი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 20.00 | 112 | ბეირა მარი-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 20.00 | 113 | ლეირია-ბელენენსეში | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 114 | აკადემიკა-ფერეირა | 1,7 | 3,5 | 3,5 | 1,14 | 1,14 | 1,75 |
| 22.00 | 115 | სანტა კლარა-მორეირენსე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 116 | ბენფიკა-ბოავიშტა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 01.30 | 117 | სეტუბალი-ბრაგა | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |

### პორტუგალია. II ლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 121 | ავეში-ალვერკა | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 122 | კოვილია-ნავალი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 123 | ოვარენსე-შავეში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 124 | რიუ ავე-ფარენსე | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 125 | მარკუ-სალგეიროში | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 126 | ლეკა-ამადორა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 127 | პენაფიელი-ლამაში | 1,05 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 19.00 | 128 | პორტიმონენსე-მაია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 129 | ფელგეირაში-მადეირა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 131 | უტრეხტი-როდა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22.30 | 132 | როზენდალი-ნაიმეგენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 133 | ზვოლე-ჰერენვენი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 22.30 | 134 | ტილბურგი-ექსელსიორი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 23.00 | 135 | ვიტესი-ტვენტე | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 16.00 | 136 | ფეიენოორდი-პსვ | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 16.00 | 137 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1,05 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 17.30 | 138 | გრონინგენი-ალკმაარი | 1,9 | 3,5 | 3,4 | 1,23 | 1,21 | 1,72 |
| 17.30 | 139 | ვალვაიკი-ბრედა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 144 | კამბური-ემენი | 2,7 | 3,5 | 2,05 | 1,52 | 1,16 | 1,29 |
| 23.00 | 145 | დენ ჰააგი-ვეენდამი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 146 | სპარტა-დორდრეხტი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 23.00 | 147 | ეინდჰოვენი-დენ ბოსხი | 2,5 | 3,5 | 2,1 | 1,45 | 1,14 | 1,31 |
| 23.00 | 148 | სიტარდი-ვენლო | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 23.00 | 149 | ჰერაკლესი-ვოლენდამი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 23.00 | 150 | ოსი-ჰელმონდი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 23.00 | 151 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 2,1 | 3,5 | 2,8 | 1,31 | 1,19 | 1,55 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXXIII ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 155 | ანდერლეხტი-ლუვიე | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.00 | 156 | ლიერსი-ლოკერენი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 23.00 | 157 | მუსკრონი-ვესტერლო | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 23.00 | 158 | შარლერუა-ბევერენი | 1,85 | 3,5 | 3,5 | 1,21 | 1,21 | 1,75 |
| 23.30 | 159 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 160 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 18.00 | 161 | გენტი-სტანდარდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

**ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი.**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 162 | ვარეგემი-ეუპენი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.00 | 163 | დენდერლეუ-ჰეუსდენი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |

**ჩეხეთი. XXVIII ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.25 | 172 | ბოჰემიანსი-სპარტა | 4,0 | 3,8 | 1,7 | 1,94 | 1,19 | 1,17 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 173 | ჟიჟკოვი-ბრნო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.30 | 174 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 19.30 | 175 | სიგმა-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19.30 | 176 | პრჟიბრამი-სინოტი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.30 | 177 | ჰ.კრალოვე-ბანიკი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 19.30 | 178 | ბლშანი-სლავია | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |

**19 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.40 | 179 | ზლინი-ლიბერეცი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**პოლონეთი. XXVI ტური**

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 183 | ლეხი-გროცლინი | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 184 | ვიძევი-ლეგია | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 20.00 | 185 | პოლონია-გურნიკი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 186 | გარბარნია-ზაგლებე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 22.00 | 187 | ამიკა-რუხი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 188 | კატოვიცე-ვისლა | 3,0 | 2,9 | 2,4 | 1,47 | 1,33 | 1,31 |

**თურქეთი. XXXII ტური**

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 189 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 190 | სამსუნი-ადანა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 191 | ბურსა-ალთაი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 192 | გიოზთეფე-დენიზლი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 193 | ისთანბული-ფენერბაჩე | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 18.30 | 194 | დიარბაქირი-მალათია | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 195 | გალათასარაი-ანკარაგუჯუ | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 21.00 | 196 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVII ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 199 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 19.00 | 200 | ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 19.00 | 201 | მოზერუელი-აბერდინი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 202 | პარტიკი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 203 | ჰართსი-რეინჯერსი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |

**დანია. XXVIII ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 204 | აკადემისკი-ოდენსე | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 205 | ესბიერგი-კოგე | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| 18.00 | 206 | მიდტიულანდი-ფარუმი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 207 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 208 | კოპენჰაგენი-ვიბორგი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 209 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |
| 20.35 | 210 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |

**ავსტრია. XXXIV ტური**

**17 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 211 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 212 | რიდი-გრაცერი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 213 | შტურმი-ბრეგენცი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 214 | ადმირა-პაშინგი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 215 | აუსტრია-რაპიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. XI ტური**

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 216 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 217 | სერვეტი-ვილი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 218 | თუნი-ციურიხი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.15 | 219 | ქსამაქსი-იანგ ბოისი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. XI ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 220 | სტ.გალენი-ვადუცი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 221 | კრიენსი-ლუცერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 222 | დელემონი-სიონი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. XI ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 223 | კონკორდია-ვოლენი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 20.30 | 224 | ვინტერთური-შაფჰაუზენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 225 | ივერდონი-ლოზანა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 226 | ბელინცონა-ბადენი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

**რუსეთი. IX ტური**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 227 | მეტალურგი-კრილია | 3,8 | 3,1 | 1,9 | 1,7 | 1,26 | 1,17 |
| 16.00 | 228 | ურალანი-შინიკი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 16.00 | 229 | ზენიტი-ტორპედო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 16.00 | 230 | როსტსელმაში-სატურნი | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,23 | 1,28 | 1,57 |
| 16.00 | 231 | როტორი-სპარტაკი | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 232 | დინამო-რუბინი | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| 16.00 | 233 | ჩერნომორეცი-ლოკომოტივი | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 16.00 | 234 | ალანია-ცსკა | 4,0 | 3,2 | 1,55 | 1,77 | 1,11 | 1,04 |

**შვედეთი. VII ტური**

**18 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 239 | იურგორდენი-სუნდსვალი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 240 | იურგორდენი-სუნდსვალი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.00 | 241 | მალმიო-ენჩიოპინგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 242 | მალმიო-ენჩიოპინგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |

**19 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 244 | ჰამარბი-გიოტებორგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 245 | ლანდსკრონა-აიკ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 246 | იორგრიტე-იორებრო | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |

**ნორვეგია. VI ტური**

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 248 | ბრინი-მოლდე | 2,9 | 3,3 | 2,15 | 1,54 | 1,23 | 1,3 |
| 21.00 | 249 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 2,15 | 3,5 | 2,9 | 1,33 | 1,23 | 1,58 |
| 21.00 | 250 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 2,45 | 3,5 | 2,4 | 1,44 | 1,21 | 1,42 |
| 21.00 | 251 | რუზენბორგი-სოგნდალი | 1,25 | 5,3 | 9,0 | 1,01 | 1,09 | 3,33 |
| | 252 | რუზენბორგი-სოგნდალი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 253 | ალესუნდი-ვიკინგი | 3,6 | 3,5 | 1,8 | 1,77 | 1,19 | 1,18 |
| 21.00 | 254 | სტაბეკი-ლინი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.15 | 255 | ვოლერენგა-ლილესტრიომი | 1,95 | 3,5 | 3,3 | 1,25 | 1,22 | 1,69 |

**ინგლისი. თასი. ფინალი. (კარდიფში).**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 275 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

**საფრანგეთი. თასი. ფინალი. (პარიზში).**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 276 | მონაკო-სოშო | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |

**საბერძნეთი. თასი. ფინალი.**

**17 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 277 | პაოკ-არისი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**ჰოკეი. NHL.**

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 07.30 | 604 | ანაჰაიმი-მინესოტა | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |

**კალათბურთი. NBA.**

**16 მაისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 643 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |

# I ტაიმის შედეგი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 2003 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 3.3 | 2.1 | 2.9 | 1.28 | 1,54 | 1.21 |
| 18.30 | 2004 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 2.7 | 2.1 | 3.5 | 1.18 | 1,52 | 1.31 |
| 18.30 | 2005 | ბოხუმი-ჰამბურგი | 3.4 | 2,1 | 2.8 | 1.29 | 1.53 | 1.19 |
| 18.30 | 2006 | ვერდერი-შალკე | 2.25 | 2.15 | 4.6 | 1,09 | 1.51 | 1.46 |
| 18.30 | 2007 | ბაიერნი-შტუტგარტი | 2.15 | 2.2 | 4.8 | 1.08 | 1.48 | 1.5 |
| 19.00 | 2008 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1.9 | 2.3 | 5.6 | 1.04 | 1.41 | 1,63 |
| 18.00 | 2009 | კიევო-რომა | 2.35 | 2.0 | 4.4 | 1.08 | 1.53 | 1.37 |
| 23.30 | 2010 | რასინგი-ატლეტიკო | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 00.30 | 2011 | დეპორტივო-ვალენსია | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 2012 | ვილიარეალი-სელტა | 2,9 | 2,0 | 3,5 | 1,18 | 1,58 | 1,27 |
| 21.00 | 2013 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 2,6 | 2,0 | 4,0 | 1,13 | 1,57 | 1,33 |
| 22.30 | 2014 | რეალი-მალაგა | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,29 |
| 24.00 | 2015 | ბარსელონა-მალიორკა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |

# ფორმულა 1

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ---- 1,5 | 4101 -------- 1,15 | 4201 ----- 1,1 | 2,0 |
| ბარიკელო ----- 5,0 | 4102 -------- 1,55 | 4202 ----- 1,2 | 3,4 |
| რაიკონენი ----- 8,0 | 4103 -------- 1,75 | 4203 --- 1,25 | 4,4 |
| კულტჰარდი -- 9,0 | 4104 -------- 1,85 | 4204 --- 1,25 | 6,0 |
| მონტოია ------- 12,0 | 4105 ---------- 3,4 | 4205 ----- 1,3 | 4,0 |
| რ.შუმახერი --- 15,0 | 4106 ---------- 3,2 | 4206 ----- 1,3 | 9,0 |
| ალონსო ------- 25,0 | 4107 ---------- 3,3 | 4207 ----- 1,5 | 30,0 |
| ტრული -------- 40,0 | 4108 ---------- 6,0 | 4208 ----- 1,7 | 30,0 |
| ბატონი --------- 75,0 | 4109 -------- 15,0 | 4209 ----- 2,5 | 100,0 |
| ფრენცენი ----- 75,0 | 4110 -------- 15,0 | 4210 ----- 2,5 | 100,0 |
| ჰაიდფელდი --- 75,0 | 4111 -------- 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 |
| ვილნევი ------- 75,0 | 4112 -------- 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა ------ 75,0 | 4113 -------- 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 |
| პანისი ---------- 75,0 | 4114 -------- 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,45 |
| მაკლარენი | 2,7 |
| უილიამსი | 5,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 40,0 |
| ბარ | 40,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| ჯორდანი | 40,0 |
| იაგუარი | 50,0 |
| მინარდი | 150,0 |

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 მაისი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2103 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2104 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2105 | ბოხუმი-ჰამბურგი | 4,4 | 10.0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2106 | ვერდერი-შალკე | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 2107 | ბაიერნი-შტუტგარტი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2108 | არსენალი-საუთჰემპტ. | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2109 | კიევო-რომა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.30 | 2110 | რასინგი-ატლეტიკო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.30 | 2111 | დეპორტივო-ვალენსია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| | | **18 მაისი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 2112 | ვილიარეალი-სელტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2113 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.30 | 2114 | რეალი-მალაგა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,3 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 24.00 | 2115 | ბარსელონა-მალიორკა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46

(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

პროფკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00-21.30 კვირა 12.00-20.30


# რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| დრო | № | მატჩი | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|---|
| | | **17 მაისი** | | |
| 18.30 | 2203 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2204 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 2205 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2206 | ვერდერი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2207 | ბაიერნი-შტუტგარტი | 2,1 | 1,55 |
| 19.00 | 2208 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2209 | კიევო-რომა | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2210 | რასინგი-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2211 | დეპორტივო-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| | | **18 მაისი** | | |
| 21.00 | 2212 | ვილიარეალი-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2213 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 1,8 | 1.8 |
| 22.30 | 2214 | რეალი-მალაგა | 2,1 | 1,55 |
| 24.00 | 2215 | ბარსელონა-მალიორკა | 1,95 | 1,65 |

# გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| დრო | № | მატჩი | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **17 მაისი** | | |
| 18.30 | 2303 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2304 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2305 | ბოხუმი-ჰამბურგი | 1.6 | 2.0 |
| 18.30 | 2306 | ვერდერი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2307 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 19.00 | 2308 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2309 | კიევო-რომა | 1.65 | 1,95 |
| 23.30 | 2310 | რასინგი-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2311 | დეპორტივო-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| | | **18 მაისი** | | |
| 21.00 | 2312 | ვილიარეალი-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2313 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2314 | რეალი-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2315 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |

# რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| დრო | № | მატჩი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 მაისი** | | | |
| 18.30 | 2503 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 18.30 | 2504 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2505 | ბოხუმი-ჰამბურგი | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 18.30 | 2506 | ვერდერი-შალკე | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 18.30 | 2507 | ბაიერნი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 19.00 | 2508 | არსენალი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 18.00 | 2509 | კიევო-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2510 | რასინგი-ატლეტიკო | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 00.30 | 2511 | დეპორტივო-ვალენსია | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| | | **18 მაისი** | | | |
| 21.00 | 2512 | ვილიარეალი-სელტა | 3.0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2513 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2514 | რეალი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2515 | ბარსელონა-მალიორკა | 3.0 | 2,8 | 2,0 |

# რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| დრო | № | მატჩი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **17 მაისი** | | |
| 18.30 | 2403 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2404 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 2405 | ბოხუმი-ჰამბურგი | 1,95 | 1,85 |
| 18.30 | 2406 | ვერდერი-შალკე | 1,5 | 2,6 |
| 18.30 | 2407 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2408 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 2409 | კიევო-რომა | 1,65 | 2,3 |
| 23.30 | 2410 | რასინგი-ატლეტიკო | 1,7 | 2,2 |
| 00.30 | 2411 | დეპორტივო-ვალენსია | 1,5 | 2,6 |
| | | **18 მაისი** | | |
| 21.00 | 2412 | ვილიარეალი-სელტა | 1,85 | 1,95 |
| 21.00 | 2413 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 1,8 | 2,0 |
| 22.30 | 2414 | რეალი-მალაგა | 1,1 | 5,0 |
| 24.00 | 2415 | ბარსელონა-მალიორკა | 1,5 | 2,6 |

# გაზრდილი
## მოიას მანოლოს ბარაბანივით ურტყეს

**TENNIS MASTERS HAMBURG**
**ჰამბურგი. თიხნარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:7 (7:9), 6:4, 7:6 (8:6); რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — კარლოს მოია (2, ესპანეთი) 7:5, 6:4; როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:1, 6:1; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — ენდი როდიკი (4, აშშ) 3:6, 6:2, 6:3; ოლივიე როხუსი (ბელგია) — ალბერტ კოსტა (5, ესპანეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:3); დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 5:7, 6:2, 6:3; რაინერ შიუტლერი (9, გერმანია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:4, 4:6, 6:4; ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) 6:0, 3:6, 6:2; გუსტავო კუერტენი (11, ბრაზილია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:5, 6:0; გილერმო კორია (12, არგენტინა) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:4; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — ტომი რობრედო (14, ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:1; ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:2, 6:1; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:7 (8:10), 6:3, 6:1; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 7:6 (7:5); მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:7 (7:9), 6:4, 6:2; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1, 6:2**

ლეიტონ ჰიუიტი მსოფლიოს უჩაუქესი მეთიხნარე შეიძლება არ იყოს, მაგრამ ერთი ყველაზე არაჩვეულებრივი მეჩოგნე რომ არის, ამ დებულებას ალბათ ბევრი არ გაედავება.

თავისი არაჩვეულებრივობა კისკასმა ოზბიჭმა იმ დღესაც ცხადყო, როცა ისე-რა ფრანგ არნო კლემანთან სეზონისა და კარიერის უხანგრძლივესი სამსეტიანი მატჩი მოიგო.

მატჩმა სამსაათნახევარს გასტანა და წინა დღეს ასევე სამ სეტად, ოღონდ საათნაკლებით ნაბუღრავები ჰიუიტისგან აურაცხელი ფიზიკური და მენტალური ილაჯი წაიღო. ჰიუიტი ჯიგრიანად დაიხარჯა, მაგრამ ასევე ჯიგრიანადვე იმარჯვა.






კარლოს მოიას რაფაელ ნადალთან მარცხი დრომ მოიტანა

„ასეთი დაძაბული და ხანგრძლივი მატჩები ჩემთვის ახლა მისწრებაა — ამბობდა ის მერე — როლან გაროსისგან მხოლოდ ათი დღეღა გვაშორებს, მე კი ჰამბურგამდე ერთხელაც არ მითიხნარია. ასე რომ, აქ რაც უფრო მეტს ვითამაშებ, მით უკეთესი იქნება."

„დღეს ყველაფერი კარგად არ გამომსვლია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში კაცურად ვიშრომე და მთავარიც სწორედ ეგ არის."

ჩვენ კი კიდევ ერთხელ გავიგეთ, თუ რატომ დგას ეს 22 წლის გაუტეხელი ავსტრალიელი კაცთა კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე...

თუმცა დღის მთავარი მოვლენა ვინძლო მაინც ორი მალიორკელის — 26 წლის კარლოს მოიასა და მისი 16 წლის შეგირდის, რაფაელ ნადალის შეხლა გამოდგა.

ამ მატჩში მოხდა ის, რასაც ალბათ იმ დღეს ყველაზე გალეშილი მალიორკელებიც ვერ წარმოიდგენდნენ: პატარა რაფომ თავის მფარველსა და კერპს ჩოგანი შეუბრუნა და იმდენი ურტყა, მანოლოს ბარაბანს რომ არ მოხვედრია.

გაზრდილის ასეთ კადნიერებას მოია ნაღდად არ მოელოდა და ამიტომაც იყო, თავის 23-ე საამსეზონო თიხნარმატჩში მე-4 მარცხი ერთობ იმედგაცრუებულმა რომ იწვნია.

მოია: „დიახ, იმედგაცრუებული გახლავართ. ოღონდ იმედი იმან კი არ გამიცრუა, რაფაელთან რომ დავმარცხდი, არამედ იმან, ასე ბითურად რომ ვითამაშე. ყოველ წელს ერთი და იგივე მემართება — ჰამბურგში არაფერი გამომდის და აზრზეც არა ვარ, რატომ. რაფაელმა კი მშვენივრად ითამაშა. იგი რიგიანი მეუკანახაზეა, ბოლომდე იბრძვის, კარგად აბრუნებს... დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ ბევრჯერ გამწნეხავს. არ ვიცი, სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი, მაგრამ ის უკვე ახლაა დიდი მოთამაშე და იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი რამის სრულყოფა და განვითარება შეუძლია, მომავალში ძალიან დიდ სიმაღლეებს უნდა შესწვდეს."

ნადალი: „ძალიან გული მწყდება, რომ ვაჯობე... დღეს მართლაც კარგად ვითამაშე, ის კი მაგრად ნერვიულობდა. მე ვხედავდი ამას და თავს ისე უხერხულად და ცუდად ვგრძნობდი, რომ ერთ მომენტში ვიფიქრე, თამაშს აღარ გავაგრძელებ-მეთქი. გამარჯვება არც გამხარებია და არც მიზეიმია. ცხადია, ყოველთვის მინდა, მისი რანგის მეჩოგნეებს ვძლიო, მაგრამ თავად მისი დამარცხება კი ჩემი ოცნება არასოდეს ყოფილა."

იცოცხლე, ჯიგარო! შენს სიპალალესა და ფაიზალობას გაუმარჯოს...

ჩვენ კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ მოია ნადალის მიერ ჩამოგდებული უკვე მეორე ხარაბუზაა — თავის სადებიუტო, მონტეკარლოურ მასტერსტურნირზე მან ასევე თვისტომსა და ასევე მეროლანგაროსე ალ კოსტას სძლია.

მისი მომდევნო მეტოქე არგენტინელი გასტონ გაუდიო იქნება.

სხვაფრივ:

მოიას გარდა იმ დღეს კიდევ ორი ზეგანთესილი — ენდი როდიკი (4) და აქ ხსენებული ალ კოსტაც (5) გავარდა. უკვე პირველ წრეში ამინდსა და რამე-რუმეზე მოწუწუნე ენდიბოი არგენტინელმა კალერიმ, წლევანდელმა აკაპულკოს ჩემპიონმა და ეშტორილის ფინალისტმა გამოწელა, კოსტა კი ისერა ბელგიელ ოლივიე როხუსს ემსხვერპლა.

ჰო, მართლა — იმ დღეს კიდევ ოთხი ესპანელი დაიფერთხა. წინა უქმეებზე რომში ნაკურთხმა ფელიქს მანტიამ წლეულს ვერაფრის მომნაგვრელ ჩილელ გონსალესთან დათმო. მე-14 ნომრად განთესილი ტომი რობრედო 1999 წლის ფინალში მარსელო რიოსთან ძლეული მარიანო საბალეტას მიერ დაიჩოგნა. პირველ წრეში პიტალო შრიჩაფანის გამგდები ლოპესი ბებერმა ფერეირამ დატორა, წლეულს ვინა დელ მარში ნახეირებ დავიდ სანჩესს კი ზემოთ ნახსენები გაუდიო მოერია.

სეზონის 38-ე გამარჯვება მოიხვეჭა შარშანდელმა ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა. ამ ჯერზე მან სარგის სარგსიანს გადაუარა და ჩემპიონთა რბოლაში ხუან კარლოს ფერეროს მეორე ადგილი ჩამოართვა.

თუკი ის დღე ესპანელთათვის ძალზედ უიღბლო გამოდგა, სანაცვლოდ ოკეანისგაღმელმა ესპანურენოვნებმა — არგენტინელებმა იიღბლიანეს. კალერის, გაუდიოსა და საბალეტას გარდა მესამე წრეში დავიდ ნალბანდიანი (8) და გილერმო კორიაც (12) გავიდნენ.

საინტერესო გამოდგა რაინერ შიუტლერისა და ლარს ბურგსმიულერის შიდაგერმანულ-შიდამეგობრული ჯახი, რაიც ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალისტის გამარჯვებით დასრულდა.

და კიდევ — მომდევნო წრისკენ გაივაკა ტურნირის 2000 წლის ჩემპიონმა (და მაშინ ტურნირი ჯერაც როთენბაუმში იმართებოდა), გუსტავო კუერტენმა. სამგზის მეროლანგაროსემ წლევანდელი ადელაიდისა და ეშტორილის პირველოსანი რუსი დავიდენკო მოჭეჭყა.

და ბოლოს — 2002 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ზედიზედ ორი მატჩის მოგება შეძლო ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა. ნატკიენმა კუნძულელმა მეათე ნომრად განთესილი ფრანგი გროჟანი აიტა.

**TELECOM ITALIA MASTERS**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი**

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1, 6:0; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:2, 7:6 (7:5); ჯენიფერ კაპრიატი (5, აშშ) — ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) 6:3, 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 7:6 (7:4), 1:6, 6:4; ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 6:2, 6:3; ნადია პეტროვა (რუსეთი) — მონიკა სელეში (10, აშშ) 6:3, 4:1 (სელეშმა შეწყვიტა); ტინა პისნიკი (სლოვენია) — მაგდალენა მალეევა (11, ბულგარეთი) 4:6, 6:4, 7:5; სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) — ელენი დანილიდუ (12, საბერძნეთი) 6:3, 6:2; აი სუგიამა (13, იაპონია) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:0, 2:6, 6:4; ანა პისტოლეზი (16, ისრაელი) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:4, 7:6 (7:4); პატი შნიდერი (17, შვეიცარია) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:0, 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:4, 6:3**

იმ დღეს მოთამაშე ზეხუთეულთაგან კიმ კლაისტერსმა და ჯენიფერ კაპრიატიმ იოლი გამარჯვებები მიითვალეს, ამელი მორესმოს კი რუს ლინა კრასნორუცკაიასთან მეორე სეტში ზორბა ბუღრაობა მოუხდა.

კორტი მატჩის დასრულებამდე დატოვა მონიკა სელეშმა, ვისაც რუს ნადია პეტროვასთან შეხლისას კვლავ მტკივანმა მარცხენა ფეხმა უღალატა.

ჯერ გარკვეული არ არის, მოუწევს თუ არა ცხრაგზის მესლემტიტულე უნგროიუგოამერიკელს სადასტაქრო მაგიდაზე გაწოლა, თუმცა თავად მონიკას ძალიან სურს წლევანდელ როლანგაროსობაშიც იმონაწილეოს.

დანარჩენი შეხვედრებიდან კი გამოსაყოფია ტურნირის ოთხგზის (1993-96) ჩემპიონის, ესპანელი კონჩიტა მარტინესის მიერ (ელენა დოკიჩის კვალად) ემანუელე გალიარდის გაიმასქნება.

ბებერი კონჩიტა მორიგ წრეში სექსფეხება დანიელა ჰანტუხოვას უნდა ეპაექროს. ჰანტუხოვამ, ვინაც საკუთრივ საჩოგბურთო გარჯათა გარდა მარადიულ ქალაქში ქალურად გაკეკლუცებასაც ახერხებს, იმ დღეს ბომბორა ესპანელი მაგი სერნა გააგორა.

**ლევან ძელაურაძე**



დანიელა ჰანტუხოვა თამაშთან ერთად რომში გაცლასაც ასწრებს

# ეს ქალი ჩემია!
## ბორის ბეკერი ახალ შარს ეძებს



ბორის ბეკერმა მხარი კაროლინით დაიმშვენა

**ასეთი** ალტყინებული, აყლურტულებული და — რომ იტყვიან — ამძუვნებული 35 წლის დიადი გერმანელი მეჩოგნე ბორის ბეკერი კაი ხანია, აღარავის უნახავს.

ამბავი ჰამბურგში იყო. თავი სახელოვან მოთამაშეებს მოეყარათ და თითოეულ მათგანს სალამოზე თავისი გოგოშკა ანაც ბიჭუშკა ახლდა.

ბორისი 26 წლის კაროლინთან ერთად გაეძრო. კაროლინი საფრანგეთში დაბადებული და ნიუ იორკში მცხოვრები ბალერინაა.

როგორც მომსწრენი ჰყვებიან, დარბაზში შესვლისას ბორისს ხელი კაროლინის გავაზე შემოედო, ხოლო სახეზე შემდეგი შინაარსის ღიმილი გამოეხატა: ეს ქალი ჩემია!

ბეკერის ერთ-ერთი მეგობრის თქმით, როცა ბორისს საზოგადოებაში ქალი ასე შეჰყავს, ესე იგი, საქმე სერიოზულადაა.

მათ ერთმანეთი 2002 წლის სექტემბერში გაუცვნიათ. ბორისი ის-ის იყო, წინა სატრფოს, პატრის ფარამეს დაშორებოდა...

„კაროლინი დახვეწილი გოგოა, მას იუმორის საოცარი გრძნობა აქვს" — დასძენს ბეკერის ზემოთხსენებული მეგობარი...

ამ ქალის იუმორის გრძნობაზე ჩვენ, ცხადია, ვერაფერს ვიტყვით. სხვა ყველაფრის შესახებ ცხოველი წარმოდგენის შექმნაში კი აქ წარმოდგენილი ფოტოები დაგვეხმარება.

ამაზე მეტი კი ალბათ არც უნდა მოგვეთხოვოს — ბოლო-ბოლო, მთავარია, სიძეს მოსწონდეს.



ჰოდა, ჩემო კაროლინ... ბეკერი ქალს ძველი დიდებით აწონებს თავს

NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# მუშა კაცსა სწავლა უყვარს

## დეტროიტმა აგურები დააწყო



REUTERS

ბოლო ბურთის ჩამგდები ჩაკი ეტკინსი (მარჯვნივ) თავადაც გადაირია და თანაგუნდელებიც გადარია

14 მაისი

### აღმოსავლეთი

### დეტროიტი 3:2 ფილადელფია

### დეტროიტი 78:77 ფილადელფია

**დეტროიტი: ეტკინსი (17), ჰამილტონი (20), კარი (3), რობინსონი (2), ვოლესი (6 ქულა, 17 მოხსნა); პრინსი (13), ოქური (9), ბერი (6), უილიამსონი (2)**

**ფილადელფია: სნოუ (16), აივერსონი (14), ვან ჰორნი (4), ტომასი (8), კოულმენი (23 ქულა, 11 მოხსნა); მაკკი (10), ბაკნერი (2), უილიამსი, სკინერი**

„დეტროიტის" მწვრთნელი რიკ კარლაილი — წინა სეზონში კოლეგათა შორის საუკეთესო, წლეულს კი ოთქმის საუკეთესო — ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ და თან „პისტონზსაც" ეზიდება. შარშან, როცა თავის საქმეში ახალბედა გახლდათ, მან შეგირდებს დაცვაში თამაში ასწავლა, ახლა კი დეტროიტელები, დაცვიდან გამარჯვების გამოცდილებას სწავლობენ. რაღაც გამოსდით, აგერ, 3:2 დაწინაურდნენ და თუ ცოტასაც გაიჭირვებენ (ბევრსაც გაიჭირვებენ), ერთ თამაშსაც მოიგებენ, რასაც აღმოსავლეთის ფინალი მოჰყვება. ეს უკვე სერიოზული წინსვლაა გუნდისთვის, რომელიც ათწლეულზე მეტია, თავის სახეს ეძებდა და ამ ხანში რამდენჯერმე გადახალისდა.

ავყვეთ თემის გაგრძელების ცდუნებას და ვახსენოთ გრანტ ჰილი, რომლის გარშემოც ბრუნავდა 90-იანი წლების მეორე ნახევრის „დეტროიტი". ჰილი დიდი ვარსკვლავი იყო (ახლა ის ტრავმებს ებრძვის), მაგრამ თანამედროვე უვარსკვლავო „დეტროიტი" ჰილისდროინდელზე წინ წავიდა. რიჩარდ ჰამილტონი მხოლოდ ნახევრადვარსკვლავია, ხოლო ბენ ვოლესს ვარსკვლავს თუნდაც იმის გამო ვერ ვუწოდებთ, რომ მისი ფუნქცია შავი სამუშაოს შესრულებაა. კლასიკური ვარსკვლავი, აგერ, „ფილადელფიას" ჰყავს, ალენ აივერსონი, რომელმაც იმ დღეს თავისი გუნდი არათუ ვერ იხსნა, იქით დაღუპა კიდეც.

დიდი ხანია, აივერსონს ასე ცუდად არ უთამაშია. მის სპორტულ ბიოგრაფიის საპლეიოფო განაკვეთში ესაა უარესი მატჩი, რამეთუ 14 ქულა აივერსონის პირადი ანტირეკორდია.

აივერსონი ხანდახან ცუდადაც თამაშობს და ზოგჯერ აღიარებს ამას, მაგრამ ამ ჯერზე პასუხისმგებლობის ტვირთი სინდისის ქენჯნის გარეშე ჩამოიხსნა. „ეს მარცხი ცალსახად გუნდის ბრალია. მე არ ვაპირებ, ყოველი წაგება ჩემ თავზე ავიღო. დღეს გუნდმა წააგო." აივერსონმა თავისი ცუდი თამაში არც დეტროიტელ ოპონენტს, რიჩარდ ჰამილტონს ჩაუწერა პლუსად. „ერთადერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც ჩემი გაჩერება შეუძლია, ეს მე ვარ. თუ მოვინდომე, სხვა ვერავინ გამაჩერებს. ამას მე პირველივე დღიდან ვამბობ." არ უნდოდა, მაგრამ აივერსონმა, თავის და უნებლიეთ აღიარა, რომ ცუდად ითამაშა. ისე, ამის აღიარება არცაა საჭირო, ფაქტიც კმარა ამ დასკვნის გამოსატანად — აივერსონმა 25 სროლიდან 20 გააფუჭა. ამ გაფუჭებული სროლების დიდი ნაწილი ბენ ვოლესმა მოხსნა და სათავე დაუდო „დეტროიტის" სწრაფ შეტევებს. ცნობისთვის, „დეტროიტმა" პირველი, სწრაფი შეტევებით 19 ქულა გააკეთა, „ფილადელფიამ" მხოლოდ — 8. ეს უკვე სერიოზული უპირატესობაა თამაშში, სადაც ყველაფერი ლამის წინასწარაა გათვლილი და ყოველი ჩაგდებული ბურთი ძვირად ფასობს.

ყველაზე ძვირფასი ბურთი კი „დეტროიტის" სათადარიგო, ამ შემთხვევაში კი ძირითადმა გამთამაშებელმა ჩაკი ეტკინსმა ჩააგდო. უფრო ზუსტად, ისროლა და რაკი ფილადელფიელმა დერიკ კოულმენმა მაშინ დაუფარა, როცა ბურთი დაბლა ეშვებოდა, მსაჯებმა უყოყმანოდ ჩაუთვალეს „დეტროიტს". ეს მოხდა მატჩისთვის განკუთვნილი 48 წუთის ბოლოსწინა წამზე, ანგარიში 78:77 გახდა და მასპინძლები სერიაში 3:2 დაწინაურდნენ.

სერიის მეხუთე თამაში ფილადელფიაში გაიმართება. „დეტროიტის" ზემორე ქების მიუხედავად შევნიშნოთ, რომ „პისტონზს" გასვლითი თამაშების მოგება უჭირს, ბოლო 15 საპლეიოფო გასვლიდან 14 წაუგია. არა უშავს, რიკ კარლაილის ბეჯითი შეგირდები ოდესმე, ალბათ, სტუმრად გამარჯვებასაც ისწავლიან.

**კოტე ყორშია**



NHL სტენლის თასი

კონფერენციის ფინალი ოთხ მოგებამდე



# კაცი ყოფილა!

## ჟიგერი ამაღელვებლად აუღელვებელია



REUTERS

14 მაისი

### დასავლეთი

### მინესოტა 0:3 ანაჰაიმი

### ანაჰაიმი 4:0 მინესოტა *1:0 3:0 0:0*

**1:0 რუჩინი (5), 2:0 კარია (29), 3:0 ჩისტოვი (33), 4:0 სიკორა (34)**

ანაჰაიმის მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერი ისე თამაშობს, მინესოტელებმა ლამის დაიჯერეს, რომ კაცი კი არა, უცხო რობოტი დასცინოდა „კედლურებს" და რკინის მანქანასავით იგერიებდა ტყვიასავით შაიბებს. მინესოტელთა მთავარმა მოჩხუბარმა მეტ ჯონსონმა ვითომ ხუმრობით მიმართა, 45-ე წუთზე მცველი ხიდის ოზოლინში ისე შეაჯახა ჟიგერს, რომ მას ჩაფხუტი გადასძვრა... და, აი, მაშინ ყველა დარწმუნდა, რომ ჩაფხუტის ქვეშ მართლა ადამიანის თავი იყო და სხვა არაფერი. თუმც ამ ჩვეულებრივმა კაცმა შეუძლებელი შეძლო და მესამე თამაშის მთავარი კაცი გახდა. არა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მან გააკეთა ის, რასაც ყველა შეხვედრაში აკეთებდა. პირიქით, გაცილებით მძიმე მატჩებიც ჰქონია. მართალია, 35 დარტყმა მოიგერია, მაგრამ აქედან მხოლოდ 4-5 თუ უქმნიდა რეალურ საფრთხეს. საქმე მოგერიებების რაოდენობაში როდია. მთავარია, სიმშვიდე, რომელსაც ეს გაუტეხელი მეკარე ფრიად კრიტიკულ მომენტებშიც კი ინარჩუნებს. ეს მართლაც დამთრგუნველია და, როგორც ჩანს, მეტოქემ უკვე დაკარგა ყოველგვარი იმედი. ეს ჟიგერის ზედიზედ მესამე შატაუტი გახლდათ, რომელმაც მისი „მშრალი" სერია 213 წუთსა და 17 წამამდე გაზარდა. ეს მაჩვენებელი მხოლოდ ნახევარი საათით ჩამოუვარდება ყველა დროის რეკორდს, რომელიც ნორმი სმიტმა შორეულ 1936 წელს დაამყარა.

აი, ასეთი „კედლის" მოიმედე ანაჰაიმს ცხადია, დღითი დღე ემატება თავდაჯერება. ამიტომაც მისცეს „მძლავრმა იხვებმა" თავს უფლება, უფრო გახსნილი ჰოკეი ეთამაშათ და შედეგმაც არ დააყოვნა — ორზე მეტი შაიბის სხვაობით პირველად იმარჯვეს ამ პლეი ოფში. პრაქტიკულად ყველაფერი მეორე შაიბის მერე გაირკვა. პოლ კარიამ ვეტერან ადამ ოუთსის გამოზომილი პასი გამოიყენა, ოთხ წუთში კი პლეი ოფის აღმოჩენამ, სტანისლავ ჩისტოვმა მესამედ აიღო დუეინ როულსონის კარი და ისიც იძულებული გახადა, სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო. არც მისი შემცვლელი, მენი ფერნანდესი დაინდეს ანაჰაიმელებმა. კარში ჩადგომაც ვერ მოასწრო, კარიამ თავისი მეორე გოლი რომ გაიტანა — ბეისბოლისტებს რომ სჩვევიათ, ისეთი მოქნევით გაისროლა შაიბა ჰაერში. სხვა სიტუაციაში მინესოტელები უჩივლებდნენ მეტოქეს, წესები დაარღვიაო, მაგრამ თავი აღარ შეიწუხეს. იციან, აღარაფერი ეშველებათ.

**სამველ ღარიბიანი**







ლუკა დი მონტეძემოლო ბერნი ეკლსტოუნს წილზე ედავება

# განხეთქილების ფორმულა

## ფული მარტო შენ გინდა, ბერნი?

**ფორმულა 1-ში** კრიზისი მწიფდება. ხუთი უმსხვილესი კონცერნის — „ფერარის", „მერსედესის", BMW-ს, „ფორდისა" და „რენოს" ბოსები საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ვიცე-პრეზიდენტს, ფაქტობრივად კი „სამეფო რბოლების" გამგებელ ბერნი ეკლსტოუნს ებრძვიან. განხეთქილების მიზეზი ის გახლავთ, რომ ეკლსტოუნი და მისი მხარდამჭერი სამი ბანკი (ბაიერიშ ლანდესბანკი, ლემანი, მორგანი) საფორმულო კომერციული შემოსავლის 75 პროცენტს ფლობენ და დაჩაგრული ბობოლა ავტომწარმოებლები თავიანთი წილის გაზრდას მოითხოვენ.

განსაკუთრებით აქტიურობს „ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო: „ორი უმთავრესი საფინანსო წყაროდან ჩვენი წილი ძალიან მცირეა. საერთოდ არაფერს ვიღებთ ტრასების ირგვლივ დადგმული სარეკლამო დაფებიდან, ტელერეპორტაჟების შემოსავლიდან კი მხოლოდ 47 პროცენტი გვეკუთვნის. გადასახედია აგრეთვე ბილეთების გაყიდვით მიღებული თანხის საკითხი. რეალობა ისაა, რომ ფორმულაში ჩვენ, ბოლიდების შემქნელები ვართ მთავარი და არა ეკლსტოუნი, რადგან უჩვენოდ იგი ჩემპიონატს ვერ ჩაატარებს. მოხარული ვიქნებით, თუ ამ პრობლემებზე ბერნისთან შეთანხმებას მივაღწევთ. თუ ეს ვერ მოხერხდა, ცხადია, ცუდი იქნება, მაგრამ სულაც არ გახდება ტრაგედია. მაშინ ჩვენ ფორმულა 1-ს დავტოვებთ, ჩამოვაყალიბებთ ალტერნატიულ ახალ სერიას — დიდი პრიზების მსოფლიოს ჩემპიონატს და ცალკე შეჯიბრებას გავმართავთ. დარწმუნებულნი ვართ, დანარჩენი ხუთი გუნდიც ჩვენ მოგვემხრობა."

მონტეძემოლომ და კომპანიამ ეკლსტოუნს ვადა 31 დეკემბრამდე მისცეს, რის მერეც თავიანთი ჩემპიონატის ორგანიზებაზე კონკრეტულ ზრუნვას დაიწყებენ. იმედია, იქამდე საქმე არ მივა.





მომავალი ოლიმპიადის მასპინძელმა ბერძნებმა თავი დაიზღვიეს და დოლბანდიან-უდოლბანდო ჩინელებს ათენში ჩასვლა აუკრძალეს

# ტიპიური ატიპიური შიში

## ათენი 2004 მთელ მსოფლიოს უხმობს

**შიშს** დიდი თვალები აქვსო და, ატიპიურმა პნევმონიამ გაისად ათენში გასამართი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებიც დაზაფრა. ბევრ სხვათა მსგავსად, ათენელებიც ვირუსიანებს ისევე ერიდებიან, როგორც კეთროვანებს. ამიტომაც ისინი ყოველგვარ კავშირს წყვეტენ იმ რეგიონებთან, რომლებსაც ვირუსმა ხელი დარია, მათ შორის ჩინეთთანაც, რომლის დედაქალაქიც თავადაა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი.

„ათენი 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა თავისმართლებასავით ოფიციალურად განაცხადა, ჩვენ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციასთან მუდმივი კავშირი გვაქვს და მათ რეკომენდაციებს თანმიმდევრულად მივყვებითო.

საბერძნეთის კულტურის მინისტრი ევანგელოს ვენიცელოსი იმასაც ვარაუდობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 16 მაისის მადრიდულ შეხვედრაზე ამ პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარ დირექტივებსაც მიიღებს. ამასთან, „ათენი-2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ანგელოპულოს-დასკალაკი ამბობს: „ატიპიური პნევმონიის გლობალური პრობლემის თხუთმეტი თვის მერე გასამართ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირების მცდელობა ჩვენთვის შემაშფოთებლად გადაჭარბებულია ეს საკითხი არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს საზოგადოების პრობლემაა."

# ჩამოწერილი ლეგენდა



## ნილ ჯენკინსი უელსის ნაკრებიდან აცრემლებული წავიდა

*მორჩა, მე ნაკრებში აღარ ვითამაშებ — ასე დაიწყო საგანგებოდ მოწყობილი პრესკონფერენცია ყველა დროის, ყველაზე შედეგიანმა მორაგბემ, 31 წლის უელსელმა ნილ ჯენკინსმა და საზოგადოებას მისი უბრწყინვალესი სანაკრებო კარიერის დასასრული აუწყა. უელსის ნაკრებს გამოეთხოვა დიდი უელსელი მე-10 ნომერი, მსოფლიო რაგბის ცოცხალი ლეგენდა ნილ ჯენკინსი*

**ნილ ჯენკინსი (უელსი)**

**31 წლის**
**გარე ნახევარმცველი**
**დებიუტი ნაკრებში: 1991 წლის 19 ივნისს ინგლისთან**
**ბოლო მატჩი ნაკრებში: 2002 წლის 1 ნოემბერი რუმინეთთან**
**წონა: 85 კგ; სიმაღლე: 177 სმ**
**კეპი: 87; ქულა: 1049;**
**ლელო: 11; გარდასახვა: 130; საჯარიმო: 235; არეკანი: 10**

„თქვენ გგონიათ, ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი იყო? არამც და არამც. პირიქით, ღამეები არ მეძინა იმაზე ფიქრით, კიდევ მეთამაშა თუ არა ნაკრებში, რომელთანაც 87 დაუვიწყარი მატჩი და ძალიან ბევრი სასიხარულო მოსაგონარი მაკავშირებს. ახლა, როცა თქვენს კითხვებს ვპასუხობ, ყელში რაღაც ბურთივით მაწვება და ტირილი მინდა" — თქვა პრესკონფერენციაზე ჯენკინსმა და „მახრჩობელა" ემოციებმა სააშკარაოზე ამოხეთქა... წამიც და ნილის წითური სახე სევდის ცრემლებმა დანამა.

განუმეორებელი, გენიოსი, ლეგენდა, დიადი — აი, ის ეპითეტები, რომლებიც არც კი კმარა, რომ ჯენკინსი დაახასიათო. ის უელსისთვის იგივე იყო, რაც ჯორდანი ჩიკაგოსთვის და მარადონა არგენტინისთვის. შესაძლოა, უფრო მეტიც.

ჯენკინსი უელსის პერიფერიაში, მომცრო სოფელ ჩარჩში დაიბადა და რაგბისაც იქ ეზიარა. 20 წლისამ პირველად მოირგო ნაკრების მაისურა. ეს ინგლისის წინააღმდეგ მოხდა და ახალბედამ სანაკრებო პირველი ქულებიც მოიპოვა. აქედან მოყოლებული, ჯენკინსი 11 წლის მანძილზე უელსელთა შეუცვლელი მე-10 ნომერი და უპირველესი მექულე გახდა. მას ტაშს უკრავდნენ მეტოქეები, კრიტიკოსები, ქომაგები. ნილი კი მათ მადლობას ვირტუოზული თამაშით უხდიდა.

და დადგა 2002 წლის 11 ნოემბერი. უელსის ნაკრებმა საქართველოს მარადიულ მეტოქესა და მოუშორებელ ჭირს, რუმინეთს გაუმართა ტესტი. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ჯენკინსისთვის ეს იყო ბოლო, 87-ე სანაკრებო კეპი.

მანამდე 2001 წლის თებერვალში, ქერა ჯენკინსი პირველი მორაგბე შეიქნა, რომელმაც სანაკრებო 1000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და ამით უნიკალური რეკორდი დაამყარა, რომელიც ძალიან საეჭვოა, ახლო მომავალში ვინმემ გაიმეოროს.

და რამ აიძულა 31 წლის კაცი, რომელიც სამშობლოში ლამისაა ღმერთად შერაცხონ, წასულიყო ნაკრებიდან, სადაც იგი მეფე იყო? ჯენკინსი ამაზე პასუხობს: „რაც უელსის ნაკრებიდან მწვრთნელი გრეჰემ ჰენრი წავიდა, ჩემი საქმეებიც აირია. მისმა შემცვლელმა სტივ ჰანსენმა რატომღაც ამითვალწუნა და ნაკრებში იშვიათად მიწვევდა. როცა სამსოფლიოსთასო გაფართოებულ შემადგენლობაში ჩემი გვარი ვერ ამოვიკითხე, მივხვდი, რომ ჰანსენს აღარ ვჭირდები. მე ჩამომწერეს და ამან ძალიან მატკინა გული".

სანაკრებო კარიერის დასასრული არ ნიშნავს, რომ ჯენკინსი რაგბიდან საერთოდ წავა. ნილი თავის კლუბ „პონტიპრიდს" მთლიანად შეალევს ცოდნასა და ძალებს. ამას კი მინიმუმ გაისამდე გააკეთებს. მაგრამ ხომ შეიძლება მსოფლიოს თასამდე ჰანსენი მოხსნან, მით უმეტეს, უელსის საქმეები სულ უკან და უკან მიდის და ჯენკინსაც ნაკრებში დააბრუნონ. „გადაწყვეტილება საბოლოოა. რაც არ უნდა მოხდეს, მე ნაკრებში აღარ დავბრუნდები" — ასე დაასრულა აცრემლებულმა ჯენკინსმა გულისამაჩუყებელი პრესკონფერენცია.

მაშ ასე, თავისი ქვეყნის ნაკრებს გულგატეხილი დაემშვიდობა კაცი, რომელმაც უელსისთვის 87 მატჩში დადო თავი და მეტოქეებს საარაკო 1049 ქულა გაუტანა. ნილის უნიკალურ სარაგბო კარიერას 1997 წელს „ბრიტანელი ლომების" სამხრეთაფრიკული ტურნეც ამშვენებს. „ლომებმა" სერიაში 2:1 სწორედ დიდი უელსელის წყალობით დაამარცხეს მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონები. ჯენკინსმა კი 41 ქულა მოიხვეჭა.

„ნილის წასვლით უელსის ნაკრებში და მსოფლიო რაგბიში დიდი ეპოქა დასრულდა" — ასეთი კომენტარი გაუკეთა გრეჰემ ჰენრიმ ყოფილი შეგირდის გადაწყვეტილებას.

**ბაჩო სვანიძე**



ნილ ჯენკინსს კარში დარტყმასთან ერთად ლელოების გატანაც ეხერხება

### ყველა დროის 10 მექულე

| მორაგბე | კეპი | ლ | გ | ს | ა | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნილ ჯენკინსი (უელსი) | 87 | 11 | 130 | 235 | 10 | 1049 |
| დიეგო დომინგესი (იტალია) | 74 | 9 | 127 | 208 | 20 | 983 |
| ენდრიუ მერთენსი (ახალი ზელანდია) | 66 | 7 | 162 | 181 | 10 | 932 |
| მიშელ ლინა (ავსტრალია) | 72 | 17 | 140 | 177 | 9 | 911 |
| მეტიუ ბერკი (ავსტრალია) | 68 | 25 | 99 | 170 | 0 | 833 |
| გევინ ჰასტინგსი (შოტლანდია) | 61 | 17 | 86 | 140 | 0 | 667 |
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 43 | 5 | 108 | 128 | 12 | 661 |
| გრანტ ფოქსი (ახალი ზელანდია) | 46 | 1 | 118 | 128 | 7 | 645 |
| გარეტ რიისი (კანადა) | 55 | 6 | 51 | 110 | 9 | 487 |
| სტეფანო ბეტარელო (იტალია) | 55 | 7 | 46 | 104 | 17 | 483 |

### ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში

| მორაგბე | კეპი | ლ | გ | ს | ა | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილიპ სელა (საფრანგეთი) | 111 | 30 | 0 | 0 | 0 | 125 |
| ჯეისონ ლეონარდი (ინგლისი) | 102 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| დევიდ ქემპიზი (ავსტრალია) | 101 | 64 | 8 | 7 | 2 | 315 |
| სერჟ ბლანკო (საფრანგეთი) | 93 | 38 | 6 | 21 | 2 | 233 |
| შონ ფიცპატრიკი (ახალი ზელანდია) | 92 | 12 | 0 | 0 | 0 | 55 |
| ნილ ჯენკინსი (უელსი) | 87 | 11 | 130 | 235 | 10 | 1049 |
| ჯონ ილზი (ავსტრალია) | 86 | 2 | 31 | 35 | 0 | 173 |
| რორი ანდერვუდი (ინგლისი) | 85 | 49 | 0 | 0 | 0 | 210 |
| ჯორჯ გრეგანი (ავსტრალია) | 82 | 11 | 0 | 0 | 2 | 61 |
| ლისანდრო არბიზუ (არგენტინა) | 80 | 17 | 14 | 14 | 10 | 185 |

*შენიშვნა: ლ — ლელო; გ — გარდასახვა; ს — საჯარიმო; ა — არეკნი*



**ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი**



ალესანდრო პეტაჩიმ ლიდერის მაისურა ჩაიცვა

REUTERS



პეტაჩიმ და ჩიპოლინიმ ერთი შეხედვით ერთად გადაკვეთეს ფინიში. გამარჯვება პირველს ერგო

# ბინდასის რეკორდი ჩიპოლინისთან ერთად ბერდება

36 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მარიო ჩიპოლინი ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილი მრბოლია წლევანდელ ჯიროზე. ვეტერან იტალიელს ჯიროს ერთადერთი ეტაპის მოგებაღა აკლია, ალფრედო ბინდასის რეკორდი რომ გაიმეოროს. ბინდასს ჯიროს 41 რბოლაში უმარჯვია.

ჩიპოლინის შეეძლო, ბინდასს გუშინწინვე გატოლებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ მეხუთე ეტაპის საფინიშო სპურტი საერთო ჩათვლის ლიდერთან, ალესანდრო პეტაჩისთან წააგო და მეორეობას დასჯერდა.

წლეულს პეტაჩიმ მეორედ აჯობა „სუპერმარიოს". პირველად ეს მან ჯიროს სასტარტო ეტაპზე გააკეთა.

„შეიძლება, ვბერდები, ბოლო აჩქარებისთვის ძალა აღარ მყოფნის და ზედ ფინიშთან უკვე მეორედ წავაგე. სიჩაუქე დამაკლდა და ალბათ ამიტომაც ვერ ვერევი ჩემზე ათი წლით უმცროს მრბოლებს. არ მინდა, ჩემი გუნდის რომელიმე წევრი გავაკრიტიკო, მაგრამ კარგი იქნება, თუ რბოლისას უფრო მეტად დამეხმარებიან, თორემ მარტოს უფრო და უფრო მიჭირს ახალგაზრდებთან გამკლავება" — თქვა რბოლის შემდეგ ჩიპოლინიმ.

პეტაჩი: „ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო რბოლა ჩემს კარიერაში. ძალიან მიხარია, რომ მეორედაც მოვიგე ეტაპი. თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ჩიპოლინი დავამარცხე."

ამ გამარჯვებით პეტაჩიმ საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა მდევრებთან. ახლა იგი მეორე ადგილოსან თანამემამულე სტეფანო გარძელის 49 წამით უსწრებს.

სხვათაგან იყოჩაღეს ავსტრიელმა ბერნარდ ეიზელმა და ავსტრალიელმა რობი მაკივენმა. კატანიიდან მესინამდე გაჭიმული ულელტეხილიანი 176 კილომეტრი, რომელიც ლაჟვარდოვან ქვიშნარნაპირს ზოლად გასდევს, ორივემ ლიდერთა ხუთეულში გაირბოლა და ჩასათვლელი ქულები მოინაგრა. განსაკუთრებით ეს მაკივენის სატურნირო მდგომარეობას დაეტყო, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდება მოწინავეთა ათეულს.

**ტექნიკური შედეგები**

**V ეტაპი. 14 მაისი**
**კატანია — მესინა 176 კმ**

1 ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) 4სთ 54წთ 43წმ
2 მარიო ჩიპოლინი (იტალია, დომინა ვაკანცე)
3 ბერნარდ ეიზელი (ავსტრია, FDEJUX.COM)

**საერთო ჩათვლა**

1 ალესანდრო პეტაჩი 22სთ 31წთ 44წმ
2 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) -49წმ
3 ფრანცისკო კასაგრანდე (იტალია, ლამპრე) -59წმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორმოში ჩასაყრელი ბურთები



REUTERS სიდნეიდან

გოლფის ბურთი ყველაზე პატარაა მსოფლიოში არსებულ რაგინდარა სათამაშო ბურთებს შორის. ავსტრალიელმა სტივენ კეიმ ბევრი უტრიალა ამ ბურთებს და ბიზნესიც მოიგონა - ისინი ოსამა ბინ ლადენის, სადამ ჰუსეინის, ტარიკ აზიზისა და ერაყის ყოფილი ინფორმაციის მინისტრის მოჰამედ ალ-საჰაფის სახეებით შეამკო. ბურთებს ნაირგვარი სახალისო რამეებიც აწერია, ურტყით დაუნანებლად და ა.შ.



REUTERS გლაზგოდან

# მექსიკური კელტობა

გლაზგოს „სელტიკის“ საგანგებოდ ამორჩეული გულშემატკივრები რატომღაც სომბრეროებით გამწკრივდნენ „სელტიკ პარკის“ მინდორზე თავიანთი გუნდის ფეხბურთელების შესახვედრად. საინტერესოა, რომ ფეხბურთელებიც სომბრეროებით გამოვიდნენ, რამდენიმე წუთში კი დაიწყო თამაში „დანდის“ წინააღმდეგ, რომელიც „სელტიკმა“ 6:2 მოიგო.



REUTERS სენტ ჯონსიდან

# ოზები კარიბეთში

ავსტრალიის მოკრიკეტეთა ნაკრებმა წარმატებით მოვლო კარიბეთი და ოთხიდან სამი ტესტი მოუგო ვესტ ინდოეთის ნაკრებს. ამისთვის ოზებმა ფრენკ უორენის თასიც დაიმსახურეს. აქამდე ცოტა ხნით ადრე კი ანტიგუას ქალაქ სენტ ჯონსის სტადიონის ტრიბუნიდან ისკუპა ავსტრალიელმა გულშემატკივარმა, რომელმაც ფეხი მოიღრძო. მას გამარჯვებულთა მისალოცად მინდორზე გავარდნა სწადდა.

# ამაზონის პირას

ამაზონის პირად მდებარე ქალაქ ბელემის გუნდს ლიბერტადორესის თასის საპასუხო მატჩი ელის. იქაური „პაისანდუ“ განთქმულ „ბოკა ხუნიორსს“ ეთამაშება. ბელემი ცნობილია გადარეული გულშემატკივრებით და უზარმაზარი პლაკატი გვამცნობს, რომ „პაისანდუ“ „ბოკას“ სტადიონ „ბომბონიერას“ დამპყრობელია. ბრაზილიელი ბიჭუნები კი, ცხადია, თამაშობენ. პირველი მატჩი ბოკელებსა და ბელემელებს შორის ფრედ დასრულდა.




REUTERS ბელემიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლეილა მეორედ

ლეილა ალი, მოკრივე და ასული მუჰამედ ალისა, ჰოლივუდს ჩასულა. იქ უნდა გაიმართოს „ბეთ“-ის წლის ჯილდოების გადაცემა. შარშან ლეილამ ბეთისავე წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის ჯილდო მოიგო და წლეულსაც ამავე ნომინაციაზეა წარდგენილი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ქუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge